

პრესომბუდსმენი A5



ღირსეულნი A6



ვიდეოარტის მამა B4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 6 თებერვალი, 2006 წელი. №25 (1177) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### 65 000 ლარი - თურქეთს ზარალის ანაზღაურებას სთხოვენ

ზღვის ქალაქში ზღვის ღელვა სიახლეს არ წარმოადგენს და არც შტორმია პირველი შემთხვევა, თუმცა აჭარაში შტორმის მიერ გემის გამორიყვა არც ისე ხშირად ხდება. შავი ზღვის დაცვის კონვენციურ ინსპექციაში ბოლო ხანებში მომხდარი სამი ასეთი ფაქტი ახსენდებათ.

A2

## სამართალი

### ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის დაპატიმრების დეტალები

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე მოგელი ტყებუჩავა დააკავა. მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, ანუ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი.

A4

## სპორტი

### სპორტის სასახლეშ კიმონო გაიხადა

წლევანდელი მსოფლიო თასი აშკარად სჯობდა ბოლო წლებში ჩატარებულ ასპარეზობებს. მიუხედავად იმისა, რომ შაბათს ოქროს მედლების გარეშე დავრჩით, თითქმის ყველა შეხვედრა საჩემპიონო ორთაბრძოლას უდრიდა.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 6/02 | 7 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 8 |
| ტყიბული | 10 | 12 |
| სოხუმი | 9 | 13 |
| დმანისი | 3 | 2 |
| გორი | 7 | 8 |
| ონი | 2 | 5 |
| ზუგდიდი | 12 | 15 |
| ახმეტა | 9 | 7 |
| გაგრა | 9 | 8 |
| სამტრედია | 12 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |

ამბები A 2
ამბები A 3
სამართალი A 4
პრესომბუდსმენი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
პრესომბუდსმენი A 8

# "ენერგოკრიზისი შოკი იყო ევროპისათვის"

## "რუსეთის იმიჯი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა"

*"24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს ამერიკელ ექსპერტთან უსაფრთხოების საკითხებში, ელჩ დევიდ სმიტთან.*

ეკა კვესიტაძე

**- როგორ ფიქრობთ, რუსეთის მიმართ რამდენად სწორი პოზიცია დაიკავა საქართველოს ხელისუფლებამ ენერგო ბლოკადის დროს და რამდენად გამართლებული იყო ის ტონი, რომლითაც პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები რუსეთის ხელისუფლებას გაზსადენების აფეთქებაში ადანაშაულებდნენ?**

- ჩვენ იქ არ ვყოფილვართ, ამიტომ შეუძლებელია, ზუსტად ვიცოდეთ, რა მოხდა იქ. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება იმაზე კამათი, რამდენად სწორი იყო ამა თუ იმ განცხადების დიპლომატიური ტონი.

გაგრძელება A3 გვერდზე



*დევიდ სმიტი.*

# საქართველო ნატო-ს უახლოვდება

## რუსეთი არ იმჩნევს, მაგრამ ალიანსის გაფართოების ეშინია

*მიუნჰენში გამართული საერთაშორისო კონფერენცია უსაფრთხოების საკითხებზე, საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული პრობლემების გასახმოვანებლად და საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად გამოიყენა. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ქვეყანამ ნატო-ში გაწევრიანების გზაზეც წაიწია წინ.*

გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, - ასეთი ინტერპრეტაცია მისცეს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის სიტყვებს ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა.

საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება ავტომატურად არ უნდა მოხდეს, - ასე აღიქვამს კანცლერის გამოსვლას რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, რომელმაც გუშინ მიუნჰენში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მერკელის ამ აზრს ეთანხმება. **"ასეთი განცხადებები ადრეც კეთდებოდა. წევრობის კრიტერიუმები თავად ამ ორგანიზაციის საქმეა,"** - აღნიშნა ივანოვმა. მისი თქმით, **"რაიმე ორგანიზაციაში შესვლა თავად ქვეყნების სუვერენული უფლებაა."**

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, ნატო-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი უფრო კონკრეტული იყო: **"საქართველო პროგრესს განიცდის. თქვენს პრეზიდენტს ისიც ვუთხარი, რომ ნატო-ს კარი თქვენთვის ღიაა, მაგრამ ამისთვის კიდევ ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი. ჩვენ ქართველ ხალხს და ქვეყნის პრეზიდენტს მხარს ვუჭერთ. თქვენს დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებთ. ვფიქრობ, რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საქმეებში აღარ უნდა ჩაერიოს."**

მიხეილ სააკაშვილისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის შეხვედრაზე, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საკითხების გარდა, ყურადღება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზეც გამახვილდა. დონალდ რამსფელდის განცხადებით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რატომ გადააყენეს მიმინოშვილი

## ფოთის პორტის ძველი და ახალი პრობლემები

ელისო ჯანაშია
ფოთის გაზეთ "თავისუფალი სიტყვის" რედაქტორი სპეციალურად "24 საათისთვის"

*რამდენიმე ხნის წინ გავრცელებული ხმები ნავსადგურის უფროსის, თემურ მიმინოშვილის შესაძლო გადადგომის შესახებ 3 თებერვალს დადასტურდა. მიმინოშვილის გადადგომის ფაქტზე უფრო საინტერესო ამ შემთხვევაში, ალბათ, ისევე, როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, მთავარი ის მიზეზია, რის შემდეგაც მიმინოშვილმა მიიღო ან მიაღებინეს ეს გადაწყვეტილება.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*ფოთის პორტში შესასვლელი არხის სიღრმე ყოველწლიურად მცირდება.*

# თურქების მოპატიჟება საქართველოში

## ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი თურქეთში დასრულებულია

დიანა ჩაჩუა

*საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თურქეთში ვიზიტი დასრულებულია. ვიზიტის ფარგლებში ნოღაიდელმა მოლაპარაკებები თურქეთის მაღალჩინოსნებთან, მათ შორის, თურქეთის პრემიერ-მინისტრთან რეჯეპ ტაიპ ერდოგანთან გამართა. სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის რეკონსტრუქცია და ორ ქვეყანას შორის 90-დღიანი უვიზო რეჟიმის შემოღება - ასეთია ზურაბ ნოღაიდელის თურქული მონაგარი.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# აჰმადინეჯადი: ირანის პროგრესს წინ ვერავინ აღუდგება

## მაგატე-ს რეზოლუციას თეირანი რადიკალური ნაბიჯებით პასუხობს

ნიკა თარაშვილი

*ირანის ბირთვული პროგრამის განახლებამ ამ ქვეყანასთან საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთობები, როგორც ჩანს, საბოლოოდ წაახდინა. ჯერჯერობით უცნობია, შემოიღებს თუ არა გაერო ირანის წინააღმდეგ სანქციებს, თუმცა უშიშროების საბჭოზე განხილვას იგი უკვე ველარ გადაურჩება. გაერო-ს ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო-ს გადაწყვეტილება, ირანის საკითხის უშიშროების საბჭოსთვის გადაცემის შესახებ, თეირანმა კიდევ უფრო ხისტ ნაბიჯებზე წასვლის საბაბად გამოიყენა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს მოთმინება დაუფასდა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ორკვირიანმა დიდთოვლობამ ქუთაისში არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური კრიზისის საფრთხე წარმოშვა. სტიქიის პირველსავე დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის რიგით მესამე პოსტრევოლუციური მერის მოვალეობის შემსრულებელი თანამდებობას ტოვებდა. გიგა ჩოგოვაძის მოსალოდნელი გადადგომის ოფიციალურ მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასახელდა. არაოფიციალურად კი, მერის მოვალეობის შემსრულებელს პრობლემები მაღალჩინოსან ძმებთან - დათა და ბაჩო ახალაიებთან კონფლიქტის შედეგად შეექმნა.

ქუთაისში, კულუარულ საუბრებში, დეტალურად აღწერენ ორი კვირის წინ მომხდარ ამ ინციდენტს: ცენტრალურ გაზსადენზე მომხდარი აფეთქების შედეგად, ძლიერი ყინვისა და თოვლის პირობებში, ქუთაისში მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. იმავე დღეს ქუთაისის მერიასა და N2 საპყრობილეში საგანგებო შტაბები შეიქმნა. მერიის შტაბს სათავეში გიგა ჩოგოვაძე ჩაუდგა და ალტერნატიული გამათბობელი საშუალებების, ძირითადად კი, შეშის მარაგის შემოტანაზე ზრუნვა დაევალა. მეორე შტაბის ხელმძღვანელობა თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა ბაჩო ახალაიამ იტვირთა და ქუთაისის საპყრობილეში 23 იანვარს, ღამით, დიზელის ათი დღის მარაგი პირადად ჩაიტანა. ახალაიას იმ ღამით ქუთაისის N2 საპყრობილეში, სადაც დღემდე საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, ადგილობრივი ოფიციალური პირების გარდა, ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერი და ამჟამად კერძო ბიზნესში გადაბარგებული გივი ჯიბლაძე დახვდა მასპინძლის სტატუსით. გამცილებლისა თუ პირადი დაცვის რანგში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს მისი ძმის, დათა ახალაიას ქვეუწყების - კონსტიტიუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი კოტე არჩაია უმშვენებდა გვერდს. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ამ უკანასკნელთან შეხლა-შემოხლის შედეგად წარმოიშვა გიგა ჩოგოვაძის კონფლიქტი ახალაიებთან. კერძოდ, როგორც ირკვევა, შეშის მაქსიმალურად შემოტანისა და უკონტროლოდ გაყიდვის თაობაზე მერიიდან გაცემული სიტყვიერი განკარგულება არჩაიას მხარეში კონსტიტიუციური უსაფრთხოებისთვის სერიოზულ პრობლემად ეჩვენა. ჩოგოვაძესა და არჩაიას შორის ქუჩაში დანიშნულ "სტრელკას" ერთმანეთის გინება, ცემა-ტყეპა და ბაჩო ახალაიას მხრიდან ჰაერში რამდენიმე გასროლა მოჰყვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# თურქების მოპატიჟება საქართველოში

პირველი გვერდიდან

მომავალი წლის აპრილში სარფს განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი ექნება. ამის შესახებ გუშინ თურქეთში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატებისა და ბირჟების გაერთიანების პრეზიდენტთან, რიფათ ჰისარ ჯიქლიოღლუსთან შეხვედრისას განაცხადა. ამ უკანასკნელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს სარფის ახალი საბაჟო გამშვები პუნქტის პროექტი წარუდგინა, რომელიც საბაჟოს როგორც ქართული, ასევე თურქული მხარის მოდერნიზებას ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება დაახლოებით 25 მილიონი დოლარია, თუმცა, მხარეთა განცხადებით, მისი განხორციელების პროცესი მგზავრთა მიმოსვლას არ შეაფერხებს. ამასთან, 25 მილიონი დოლარიდან 10 მილიონ დოლარს საქართველო, დანარჩენს კი თურქეთი გადაიხდის. ნოღაიდელის განცხადებით, მოდერნიზაციის პროექტის განხორციელება მიმდინარე წლის ივნისში დაიწყება და 2007 წლის აპრილში დასრულდება.

საქართველოს დელეგაციის თურქული ვიზიტისას შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო მინისტრ ქიურშად თიუზმენთანაც, სადაც მხარეებმა საქართველო-თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული დინამიკა განიხილეს და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. გეგმები კი ასეთია: 2008 წლისთვის საქართველო-თურქეთს შორის ვაჭრობის მოცულობამ და საქართველოში თურქული ინვესტიციების რაოდენობამ 2 მილიარდი დოლარი უნდა შეადგინოს. ამაში კი, ზურაბ ნოღაიდელის აზრით, ქვეყნებს სწორედ სავიზო რეჟიმის გაუქმება და სარფის გამშვები პუნქტის რეკონსტრუქცია შეუწყობს ხელს. ნოღაიდელის ინფორმაციით, 2002 წელს საქართველო-თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 250 მილიონი დოლარი შეადგინა, დღეისათვის კი ეს მონაცემი 500 მილიონ დოლარს შეადგენს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თურქულ მხარეს საქართველოში არსებული ინვესტირების შესაძლებლობები გააცნო და ბიზნეს-ფორუმზეც მოიპატიჟა. როგორც ცნობილი გახდა, ვიზიტისას თურქეთის მხარე კიდევ ერთხელ დაინტერესდა საქართველოს საბანკო, სატელეკომუნიკაციო, ენერგეტიკის სექტორებით და საშუალო და მცირე წარმოებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სარფის საბაჟო ტერმინალის გარდა, თურქეთის მონაწილეობით ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციაც იგეგმება. ნოღაიდელის განცხადებით, ყოველივე ეს საქართველოს საკვანძო სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევას შეუწყობს ხელს.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თურქეთში წინა სტუმრობისას მიღწეულ შეთანხმებებს აქტიური რეალიზაცია მოჰყვა. იგულისხმება ნოღაიდელის და მისი თურქი კოლეგის მიერ 2005 წლის ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, 10 თებერვლიდან ორი ქვეყნის მოქალაქეთათვის 90-დღიანი უვიზო რეჟიმის მოქმედება შევა ძალაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ რაღაც ოთხი დღის შემდეგ, საზღვრის გადაკვეთიდან 90 დღის განმავლობაში, საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს მეზობელ ქვეყანაში უვიზოდ ცხოვრების უფლება მიენიჭებათ.

# 65 000 ლარი - თურქეთს ზარალის ანაზღაურებას სთხოვენ

*ზღვის ქალაქში ზღვის ღელვა სიახლეს არ წარმოადგენს და არც შტორმია პირველი შემთხვევა, თუმცა აჭარაში შტორმის მიერ გემის გამორიყვა არც ისე ხშირი ფაქტია. შავი ზღვის დაცვის კონვენციურ ინსპექციაში ბოლო ხანებში მომხდარი სამი ასეთი ფაქტი ახსენდებათ: პირველი - ნაპირდაცვის ჩაძირული ბუქსირი, მეორე - "ბენზეს" მიმდებარე ტერიტორიაზე გამორიყული გემი, და მესამე შემთხვევა - თურქული მშრალ-ტვირთმზიდი თბომავალი "ოზლემი", რომლის პარალელურად ფოთში უკრაინული გემიც გამორიყა ზღვამ, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, "ოზლემმა" ზარალი თვითონაც იწვნია და შავი ზღვაც დააბინძურა.*

შორენა გოგიჩაიშვილი
*ბათუმიდან*

გემის მიწერილობის ნავსადგურია ვოლსანი, ჩრდილოეთ კორეა, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების 12-კაციანი ეკიპაჟი. 27 დეკემბერს სატვირთო ოპერაციის ჩატარების შემდეგ "ოზლემი" ბათუმის სარეიდო სადგომის ღუზაზე დადგა. 2006 წლის 26 იანვარს 16 საათზე, ძლიერი შტორმის დროს თბომავალ "ოზლემის" მთავარი ძრავი არ ამუშავდა, ძლიერი ღელვის შედეგად აწყდა ღუზის ჯაჭვები, ხოლო ტალღებმა და დინებამ გემი დაბა მახინჯაურის მიმდებარე სანაპირო ზოლში გამორიყა. იმ მიზეზით, რომ აღნიშნული სანაპირო ზოლი კლდოვანია და ზღვაში ბეტონის მასივებია ჩაწყობილი, მათთან შეხებისას გემმა კორპუსის დაზიანება მიიღო. ნავსადგურში არსებული წესების თანახმად, მოსალოდნელი შტორმის შესახებ გემის ეკიპაჟი წინასწარ გააფრთხილეს, რის შემდეგ, საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად, გემის კაპიტანი ვალდებული იყო, გემი ღუზიდან მოეხსნა და ღია ზღვაში გასულიყო. თუმცა გემმა მითითება არ შეასრულა, ვინაიდან სამანქანო განყოფილებაში პრობლემები შეიქმნა. **"ადგილზე მისვლისას დავაფიქსირეთ, რომ გემზე იყო 4 ტონა დიზელის საწვავი, 800 კილოგრამი დიზელის ზეთი და 1 ტონამდე ნავთობშემცველი წყლები. გემს მივეცით მითითება, რომ ნავთობპროდუქტი საჩქაროდ ამოეტუმბათ, რათა მისი ზღვაში დაღვრა არ მომხდარიყო. შემდგომ შტორმი გაძლიერდა, რამაც გემის მთლიანი დაზიანება გამოიწვია, მარჯვენა ბორტი მთლიანად მოწყდა და ნახევრად ზღვაში ჩავარდა. ის ნავთობი, რაც ტრიუმში იყო, ზღვაში ჩაიღვარა,"** - განაცხადა შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის უფროსმა თენგიზ გოგოტიშვილმა. ზღვის წყალში აღებული სინჯების შედეგად (სადაც შემჩნეულ იქნა ნავთობპროდუქტი მცირე აფსკის სახით) და ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზების საფუძველზე, ზღვაში ნავთობპროდუქტის შემცველობა ლიტრ წყალში 12 მილიგრამის ტოლი აღმოჩნდა.

**"სანიტარული ნორმა - 0,3 მილიგრამია ლიტრ წყალში. ფაქტობრივად, მოხდა ზღვის დაბინძურება. ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის მეორე ნაწილი ზღვის დაბინძურებაზე ითვალისწინებს ჯარიმას 65 000 ლარის ოდენობით, ჩვენ შევადგინეთ სათანადო ოქმი სანაპირო დაცვის წარმომადგენლებთან ერთად. ამჟამად მიდის ძიება იმის თაობაზე, შეასრულა თუ არა "ოზლემის" კაპიტანმა საერთაშორისო მოთხოვნები. შეიძლება, "ოზლემის" კაპიტანმა იქით მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება სამაშველო საკოორდინაციო ცენტრს, თუკი მათ თურქული გემის ეკიპაჟისთვის შტორმის თაობაზე ოფიციალური შეტყობინება არ გაუგზავნიათ. ამ საქმეს იძიებს სანაპირო დაცვის აჭარის განყოფილების უფროსი, ბატონი გენო დიასამიძე. გაგზავნილია წერილი, პასუხის შემდგომ ჩვენი ერთობლივი შეკრება მოხდება და ამ საქმეს სასამართლოში გადავცემთ. შემდგომში უკვე სასამართლო გადაწყვეტს, ვინ არის დამნაშავე და ვინ უნდა გადაიხადოს ჯარიმა. ამჟამად კი დამნაშავე მხარეს ვერ დავასახელებთ, ეს სასამართლოს განხილვის საგანია,"** - აღნიშნა თენგიზ გოგოტიშვილმა.

ფაქტმა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში შევქი გუთეველლიოღლუც დააინტერესა: **" ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ფაქტი მოხდა. ამას შეიძლება ვუწოდო დრამა. მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ საქართველოს და, კერძოდ, აჭარის შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული იქნა დახმარება და 12-კაციანი ეკიპაჟის სრულიად უვნებლად გადარჩენა შევძელით. ძალიან დიდი წარმატებაა, რომ არავინ დაზარალდა და ჩვენ მადლიერები ვართ. მე მინდა, თურქეთის რესპუბლიკის და მეზღვაურების ოჯახების სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ყველა თანამშრომელს, ვინც მონაწილეობა მიიღო დახმარებაში."** მაგრამ მან, მადლიერებასთან ერთად, გაოცებაც გამოხატა საჯარიმო სანქციის თაობაზე: **"მგონი, დიდი რაოდენობით ნავთობი არ დაღვრილა, იმიტომ, რომ ეკიპაჟი ყოველნაირად ცდილობდა ნავთობის ამოტუმბვას, მაგრამ ძლიერი შტორმი მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. ასეთი მაღალი საჯარიმო სანქციის დაკისრება უსამართლობად მიმაჩნია, იმიტომ, რომ ეს შეგნებულად გაკეთებული არ არის, ეს უამინდობით გამოწვეული ფაქტია. მჯერა, რომ საქართველოს და აჭარის შესაბამისი სამსახურები ამას გაგებით მოეკიდებიან."**

700 000 დოლარის ღირებულების გემი, რომლისთვისაც პირვანდელი სახის დაბრუნება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, 100 000 დოლარად შეფასდა. იგი უახლოეს მომავალში დაიჭრება და ჯართში ჩააბარებენ.

# საქართველო ნატო-ს უახლოვდება

პირველი გვერდიდან

**"არანაირი პოლიტიკური წინააღმდეგობები საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე არ არსებობს,"** - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა რუსული მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში. **"თუ ევროკავშირში გაწევრიანებისათვის პრობლემების რთული კომპლექსი უნდა გადავწყვიტოთ, ამ შემთხვევაში მხოლოდ სტანდარტებთან დაკავშირებული რიგი საკითხების მოგვარება საჭირო,"** - დააკონკრეტა მან. საგარეო საქმეთა მინისტრი იმედით მოელი მარტს, როდესაც საქართველოს ნატო-ს შეფასების მისია ეწვევა, რომლის მოხსენების საფუძველზეც შედგენილი იქნება საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროგრამა. გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ ნატო-ში საქართველოს შესვლის პროცესი, შესაძლოა, უკვე მომავალ წელს დაიწყოს: **"ჩვენ ამის შესახებ პარასკევს ვესაუბრეთ აშშ-ს თავდაცვის მინისტრს და ყველა სხვა ქვეყნების მინისტრებს, ვინც აქ, კონფერენციაზე იმყოფებიან. ყველა დადებითადაა განწყობილი."**.

ნატო რუსეთისათვის შესაძლოა საფრთხედ იქცეს, - განაცხადა თავის მხრივ სერგეი ივანოვმა კონფერენციაზე, ნატო-ს შესაძლო გაფართოებაზე საუბრისას. **"თუ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე ვისაუბრებთ, მნიშვნელოვანია, როგორ გაფართოვდება ალიანსი. თუ - როგორც სამხედრო ორგანიზაცია, მაშინ ეს რუსეთისათვის შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს; თუ ის ევოლუციას განიცდის და უსაფრთხოების პრობლემებზე იმუშავებს, მაშინ - არა,"** - განაცხადა ივანოვმა. თუმცა, მან ნატო-ში რუსეთის გაწევრიანებაც არ გამორიცხა. **"ჯერ რუსეთი ამაზე არ ფიქრობს, მაგრამ, როგორც ამბობენ, არასოდეს არ თქვა "არასოდეს,"** - დასძინა ივანოვმა.

კონფერენციის მონაწილეთა მხრიდან რუსეთის მისამართით საკმაოდ მკაცრი კრიტიკა გაისმა, მათ შორის, საქართველოს მიმართ რუსული პოლიტიკის გამო. ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა მსოფლიო ლიდერებს პეტერბურგში დაგეგმილი "დიდი რვიანის" სამიტის ბოიკოტირებისკენ მოუწოდა. **"პუტინის რუსეთი დღეს არც დემოკრატიაა, არც მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი. და მე სერიოზულად მეპარება ეჭვი, რომ "რვიანის" ლიდერები პეტერბურგში უნდა ჩავიდნენ,"** - განაცხადა სენატორმა. სხვა პრეტენზიებთან ერთად, მაკკეინმა რუსეთს გაზის შეწყვეტით **"დემოკრატიული უკრაინისა და საქართველოს დასჯა"** გაუხსენა, იმ დროს, როდესაც **"მინსკელ დიქტატორზე სათბობს შემცირებული ფასით ყიდის."**

ამავე დროს, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა საქართველოდან რუსეთის მისამართით გაკეთებული **"ისტერიკული განცხადებების, გაუთავებელი პროვოკაციებისა და დასავლეთის საზოგადოებრივი აზრისადმი აპელირების გამო"** გაკვირვება გამოთქვა.

**"ჩვენ საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციით დაინტერესებულნი ვართ, მაგრამ ჯერ ვერ ვხედავთ, როგორ შეიძლება ამის გაკეთება,"** - ამბობს ივანოვი. მისი მტკიცებით, რუსეთს საქართველოში არსებული ორი სამხედრო ბაზა არ სჭირდება. **"რუსეთს საქართველოსთან არავითარი სასაზღვრო პრობლემები არა აქვს, ვინაიდან რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მხოლოდ სადემარკაციო სამუშაოებია ჩასატარებელი. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებებსა და პრობლემების მოგვარებას არ ვაპირებთ. თქვენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელმძღვანელებს თავად უნდა მოელაპარაკოთ,"** - აღნიშნა ივანოვმა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების - ქვეყნის მიერ დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს დატოვება, რის შესახებაც მიუნჰენში კონფერენციის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი - კომენტირებისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა საბჭოს არც ერთ პროგრამაში არ მონაწილეობდა. ამის მიზეზად მინისტრი ასახელებს იმას, რომ საბჭოში სამხედრო-ტექნიკური საკითხები არ წყდებოდა.

გელა ბეჟუაშვილის თქმით, საბჭოდან გამოსვლის შესახებ წინადადება თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა. **"ჩვენ ამ ფორმატს ვერ ვიყენებდით და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება,"** - განაცხადა საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. **"რუსები თუ გაბრაზებულები არიან, მათი ნებაა. ჩვენ დავტოვეთ ის ორგანიზაცია, რომელიც ჩვენთვის არაფრის მომტანი არ იყო,"** - განაცხადა მინისტრმა.

*24 საათი*

# ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს მოთმინება დაუფასდა

პირველი გვერდიდან

ამ ინფორმაციას ოფიციალურად არც ერთი მხარე ადასტურებს.

**"არანაირი დაპირისპირება არ არსებობს, საერთოდ არ ვიცნობ ბაჩო ახალაიას. იმდენჯერ ახსნეს უკვე ეს ადამიანი, რომ, ალბათ, უახლოეს მომავალში გავიცნობ,"** - ამბობს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე "24 საათთან" საუბარში.

როგორც ირკვევა, ინციდენტის გახმაურებას მხარეებმა სამთავრობო კულუარებში მოლაპარაკება არჩიეს. ჩოგოვაძე სასწრაფოდ თბილისში გაემგზავრა. თავის დროზე ქუთაისის ვიცე-მერად იგი გიორგი არველაძის რეკომენდაციით დაინიშნა. სიტუაციის საბოლოოდ გარკვევამდე, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკვლია, რის შემდეგაც ქუთაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიგა ჩოგოვაძე ექვსი თვით ბიულეტენზე გასასვლელად ემზადებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, სტიქიის პირობებში საკუთარ პრობლემებში გარკვევა გიგა ჩოგოვაძემაც მოახერხა და მისი საბოლოო გადაწყვეტილება ასეთი აღმოჩნდა: **"არსად წასვლას არ ვაპირებ, მითუმეტეს ახლა ჩემი ავადმყოფობის დრო ამ ქალაქს ნამდვილად არა აქვს. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასე ვთქვათ, ხერხემალზე პრობლემები მაქვს, შეგიძლიათ ეს ახალი დიაგნოსტიკურ ცენტრში გადაამოწმოთ, მე შემიძლია ჩემი დიაგნოზის პასუხები გიჩვენოთ: ვარ სასწრაფოდ საოპერაციო. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ: ექიმებიც მეუბნებიან, რომ თუკი აუცილებელი იქნება მკურნალობა, იგი არ გასტანს დიდხანს. მე უბრალოდ ვთქვი, რომ თუკი მკურნალობა გასტანდა 5-6 თვეს და უუნარო ვიქნებოდი, ამ შემთხვევაში, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ჩემი გადადგომა, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო წელია, მაგრამ ასეთ დროს, დამერნჩუნეთ, სანამ ცოცხალი ვიქნები და სანამ ფეხზე ვიდგები, მანამ არსად არ წავალ. მერე კი, თუ იმის საშუალება იქნება, რომ ჩემს ჯანმრთელობასაც მივხედო, ვნახოთ."**



*თათბირებს კვლავ ესწრება ყოფილი გუბერნატორი.*

თმენისა და გამძლეობის უნარი გიგა ჩოგოვაძეს სტიქიის შემდეგ დაუფასდა. ორიოდე დღის წინ ქუთაისში ვიზიტად მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და პარლამენტარმა დავით კირკიტაძემ ამ ორი კვირის მანძილზე გაწეული საქმიანობისთვის ჩოგოვაძესა და მის მთავრობას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს. ამჟამად, ქუთაისის ხელისუფლების კიდევ ერთი ცვლა ამ ეტაპზე არ განხორციელდება, თუმცა, ქუთაისის მთავრობის ბედი, როგორც წესი, იმერეთის გუბერნატორებზეა დამოკიდებული. იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტი უკვე ორი თვეა, ვაკანტურია. მხარის მმართველის მოვალეობას დე იურე ზურაბ ქაჯაია ასრულებს, დე ფაქტო კი რეგიონში პროცესებს ძველი ინერციით ისევ ყოფილი რწმუნებული, ამჟამად კი მმართველი პარტიის რეგიონული ლიდერი აკაკი ბობოხიძე მართავს.

# რატომ გადააყენეს მიმინოშვილი

პირველი გვერდიდან

ნავსადგურის უფროსობა, რა თქმა უნდა, არ არის რომელიმე რიგითი შპს-ს ხელმძღვანელობა, ამიტომ მიმინოშვილის თანამდებობიდან წასვლა, ბუნებრივია, არც ისე უმიზეზო იქნებოდა. მიზეზთა დეტალები ოფიციალურად დღემდე არ ხმაურდება.

რა მოხდა სინამდვილეში?

22 იანვარს ნავსადგურს უნდა მიეღო 25-ათასტონიანი, 171 მეტრი სიგრძის, საწვავით დატვირთული ტანკერი "პროდიუსი", რომლის გამომგზავნიც იყო ფილიპინური ფირმა "ლიტასკო". გემთმფლობელს, პორტიდან მიღებული ინფორმაციით, 10,5 მეტრი სიღრმის შემოსასვლელი არხი უნდა დახვედროდა, მაგრამ რეალურად მისი სიღრმე 8 მეტრი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია გემის მეჩეჩზე დაჯდომა და ასეთ მდგომარეობაში მან 12 საათი დაჰყო. მომხდარის გამო, გემთმფლობელი 400 ათას დოლარ ჯარიმას აკისრებს მიმღებს - ფოთის პორტს. როგორც ამბობენ, ეს ფაქტი პრემიერ ნოღაიდელისთვის მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა და სწორედ მისი მოთხოვნით დატოვა პოსტი მიმინოშვილმა.

შემოსასვლელში გემის გაჩხერის შემთხვევა მიმინოშვილის უფროსობის პერიოდში ნავსადგურისთვის პირველი არ ყოფილა. გასული წლის 6 თებერვალს გემი "სირაიდერი" ნავსადგურის შემოსასვლელი არხის აკვატორიაში შეჯდა მეჩეჩზე, რამაც გამოიწვია ავარიული სიტუაცია. მომხდარის გამო, ნავსადგურის შემოსასვლელი არხის მთავარმა სპეციალისტმა და ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა ჯემალ გერსამიამ უვარგისად მიიჩნია შემოსასვლელი არხი და იმავე წლის 9 თებერვალს რეკომენდაციით მიმართა ნავსადგურის უფროსს: **"ვიძლევი რეკომენდაციას, დროებით შეჩერდეს 10 მეტრზე მეტი ჯდენით, და სიგრძით არა უმეტეს 200 მეტრისა, გემების შემოსვლა."**

გასული წლის სექტემბერში მოცემულ ინტერვიუში გერსამია პორტის ხელმძღვანელობას არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდა და აცხადებდა: **"საზოგადოებას უფლება აქვს, პორტის ადმინისტრაცია მავნებლობაში დაადანაშაულოს"**. ის, როგორც სპეციალისტი, საგანგაშოდ მიიჩნევდა არსებულ მდგომარეობას და ნავსადგურის ხელმძღვანელობას მოუწოდებდა, ნავსადგური ეხსნათ გაჩერებისგან. მისი მაშინდელი განცხადებით, თუკი არხის მოსილვა ასეთი ტემპით გაგრძელდებოდა, საბოლოო ჯამში მივიღებდით იახტკლუბს და არა ნავსადგურს.

### რატომ აქვს ფოთის პორტს მოსილვის პრობლემა?

**"შემოსასვლელი არხის საზღვაო მიწისმწოვებით დაღრმავების მიუხედავად, რიონის ახალი დელტის წყალქვეშა ნაწილი განუწყვეტლივ მიისწრაფის წინ. ამის გამო უახლოეს 3-7 წელიწადში შეიზღუდება ღრმა ჯდენების გემების შემოსვლა თვით არხში, რაც ადეკვატური იქნება პორტის საერთო ტვირთბრუნვის პოტენციალის შემცირებისა. დღეს არხში შესვლა გაშლილი ზღვიდან შეზღუდულია 11-მეტრიანი სიღრმით. გასათვალისწინებელია ის, რომ ყოველ 3 წელიწადში არხის სათავის წყალქვეშა ფერდის მიდამოებში სიღრმეები დაიკლებს 1 მეტრით, შემდგომ 3 წელიწადში 9 მეტრით და ა.შ."** (ასოციაცია "ჰიდროსფეროს" დასკვნა, 2004 წლის აპრილ-მაისი).

შემოსასვლელი არხის მოსილვის პრობლემა ფოთის პორტს ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ სიღრმეების კაპიტალური დაღრმავება დროდადრო ხდებოდა უკრაინიდან შემოყვანილი მიწახაპიებით, რაც, მართალია, პორტს კოლოსალური თანხები უჯდებოდა, მაგრამ სპეციალისტთა თქმით, ყველა გაწეული ხარჯის მიუხედავად, პორტი სოლიდურ მოგებაზე მუშაობდა.

წინა წლებში ოდესის სპეციალიზებული ფლოტი დაახლოებით 500 000 კუბურ მეტრ სილას იღებდა. შემდგომში კი ნავსადგურმა შეიძინა საკუთარი მიწახაპია გემი "ნიკო ნიკოლაძე", რომელიც შედარებით მცირესიმძლავრიანი იყო და მხოლოდ ყოველდღიური მუშაობით გამოიღებდა შედეგს. თუმცა, როგორც ამბობენ, მიმინოშვილს არც ოდესიდან ჩამოუყვანია მიწახაპია და არც საკუთარი გამოუყენებია. ნავსადგურში შემოსულ ღრმაჯდენიან გემებთან კი ხშირად სპეციალურ ბარჟებსა და ამწეებს აკვატორიის გარეთ ტვირთის ნაწილის ამოსაღებად უშვებდნენ, რაც ნავსადგურისთვის დამატებითი ხარჯი იყო.

### საუბარი ნავსადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ თემურ ხოხობაიასთან

**-ბატონო თემურ, ადასტურებთ ფაქტს, რომ გემი "პროდიუსი" 12 საათი იჯდა მეჩეჩზე და პორტში ვერ შემოვიდა?**

-კი, ასეთი ფაქტი იყო...

**-რატომ მოხდა ეს?**

-შტორმების დროს ხდება ეს.

**-შემოსასვლელი არხის სიღრმე რამდენია ამჟამად. ჩვენი ინფორმაციით, არხი მოსილულია?**

-ნუ, ახლა ის ერთი ადგილია მოსილული, თორემ სხვაგან კი არაა. ხვალ შემოვიყვანთ ჩვენ იმ ტანკერს.

**-ის ტანკერი, ჩვენი ინფორმაციით, ევროსასამართლოში ჩივილს აპირებს და ჯარიმას დაგაკისრებთ.**

-რატომ?

**-იმიტომ რომ, ზარალი მიადგა.**

-ჩვენ ავუხსენით მათ, რომ სილაა... მაგი არაფერი არაა... არაა მაგი პრობლემა. პირველი არაა, რომ აქ ფოთში გემი ჯდება. როცა შემოვიყვანთ, მყვინთავები გასინჯავენ გემის კორპუსს. ეს სილაა და გემს არაფერს დააკლებს, პირიქით, გაუწმინდავენ კორპუსს "რაკუშკებისგან". ნაწილი უკვე გავუკეთეთ და მადლობა უნდა თქვან. არაფერი არ იქნება პრობლემა, "დოკზე" აიყვანენ, გაიწმინდება და წავლენ.

**- ეს ხომ საერთაშორისო სკანდალია. მსოფლიომ იცის, რომ ფოთის ნავსადგურს 10,5 მეტრი სიღრმის გემების მიღება შეუძლია და გამოდის, რომ 9,9 მეტრიან გემებსაც ვერ იღებთ?!**

-ორი გემი მუშაობს უკვე არხის გაწმენდაზე. "ნიკოლაძე" და კიდევ მეორე გემი მოვიყვანეთ.

**-სპეციალისტები ამბობენ, რომ უკვე აღარ შველის "ნიკოლაძე", რადგან თავის დროზე არ იყო გამოყენებული და ახლა უკვე იმდენად მოსილულია, რომ ველარ მოერევა.**

-ვინ ამბობს ამას, გერსამია? აბა, რა ვქნათ ახლა, დავკეტოთ პორტი? რა ვქნათ, ამიხსენით ერთი.

**-მე ვერ აგიხსნით, რადგან ამ დარგში სპეციალისტი არა ვარ... სპეციალისტებს არ შემოუთავაზებიათ თქვენთვის რაიმე გეგმა. მგონი, მათ თქვენ ჯერ კიდევ შარშან გირჩიეს, რომ 10 მეტრზე მეტი ჯდენის გემი არ უნდა შემოგეყვანათ.**

-ეს გემი არ იყო 10-იანი... იყო 9,9-იანი.

### სპეციალისტის მოსაზრება

როცა ნავსადგურის შემოსასვლელი არხის მთავარ სპეციალისტს, ჯემალ გერსამიას მივმართეთ, მან მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა და საკითხის შესწავლას დაგვპირდა, რის შემდეგაც კომენტარი გააკეთა: **"ფოთის პორტს პასპორტში უწერია, რომ 13-მეტრი სიღრმის გემების მიღება შეუძლია, ანუ მსოფლიომ იცის, რომ ეს ასეა. რეალურად კი 8 მეტრის სიღრმესაც ვერ იღებს. რაც დღეს პორტს სჭირს, არ მხოლოდ პორტის ადმინისტრაციის, სამეთვალყურეო საბჭოს ბრალიცაა და, შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. ახლა ახალი შემოსასვლელი უნდა გაკეთდეს, სხვა ვარიანტი პორტს დღეს არა აქვს. ახლა მაინც მოუსმინონ სპეციალისტებს და იქნებ ფოთის პორტმა დაკარგული იმიჯი აღიდგინოს, მსოფლიო სტანდარტებს მიუახლოვდეს და არსებობა არ შეწყვიტოს."**

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ტანკერი "პროდიუსი" ვერც 5 თებერვალს შეიყვანეს პორტში. ტანკერის მიმღებმა ფირმამ კი გემი დაიქირავა, რითაც რეიდზე მდგარი ტაკერიდან საწვავს ეზიდება და ცდილობს, ტვირთი ამ გზით მიიღოს. ეს კიდევ დამატებითი ხარჯებია, რაც, სავარაუდოდ, ასევე ნავსადგურის ასანაზღაურებელი გახდება.

ამჟამად, რეიდზე მყოფი გემები, რომლებსაც ნავსადგური ვერ იღებს, მოცდენის ჯარიმებს, ბუნებრივია, ისევ ნავსადგურს დააკისრებენ და სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალიც, შესაბამისად, კოლოსალური იქნება.

მეჩეჩზე შემდგარი გემის "დოკზე" შესაკეთებლად აყვანის ხარჯებიც სახელმწიფომ უნდა გაიღოს. როგორც დოკზე მომუშავეებმა განგვიცხადეს, ფოთის "დოკზე" ამ სიდიდის ტანკერის შეკეთება ვერ ხერხდება და იგი, სავარაუდოდ, ნოვოროსიისკის "დოკმა" უნდა მიიღოს.

ამის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ ფოთის პორტის უფროსს პირადი ინიციატივით ეთხოვა გადადგომა.

## ივანოვ-ბაგაფშ-კოკოითის პრეტენზიებს საფუძველი არ აქვს

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვისა და თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტების - სერგეი ბაგაფშისა და ედუარდ კოკოითის განცხადებებს, კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის გადაწყვეტილების მიღებისას სოხუმისა და ცხინვალის აზრის გაითვალისწინების შესახებ, "უსაფუძვლოდ" მიიჩნევს. ოგორც მალაშხია განმარტავს, ვისაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია და შეთანხმებები, იცის, რომ "უამრავ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე", რომლებიც, ძირითადად, წინა ხელისუფლების საქმიანობას უკავშირდება.

"ჩვენ არ ვაპირებთ კონფლიქტებთან დაკავშირებით შევარდნაძის მიერ დაშვებული შეცდომების გზით სიარულს," - აღნიშნა მალაშხიამ. მისივე თქმით, რუსი და ოსი ოპონენტები ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ სამშვიდობო ძალები საქართველოში, კერძოდ კი, ცხინვალის რეგიონში საქართველოს ხელისუფლების ნებით დგანან. მათი შემოყვანის შესახებ გადაწყვეტილების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს არ მოუხდენია და, შესაბამისად, მათი გაყვანის შესახებ საკითხის გადაწყვეტაც მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივაა.

მალაშხიას განმარტებით, აფხაზეთში მოქმედ სამშვიდობოებთან დაკავშირებითაც არსებულ შეთანხმებაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ სამშვიდობო მისიის შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მოხდეს.

"პარლამენტი მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სამშვიდობოების გაყვანის შესახებ. რაც შეეხება რეალურად მათ გაყვანას, ამის თაობაზე საქართველოს მთავრობა იზრუნებს," - დასძენს შოთა მალაშხია. **ინტერპრესნიუსი**

## გოგა ხაინდრავა: გაერო-ს მეგობარი ქვეყნების პოზიცია ფრთხილია

გაერო-ს მეგობარი ქვეყნები საქართველოს ხელისუფლებას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ და "სამხედრო რიტორიკისგან" გათავისუფლებას ურჩევენ. ამის შესახებ საუბარია ჟენევაში გამართული შეხვედრების შედეგად მიღებულ დადგენილებაში. როგორც საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა, ჟენევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობოებთან დაკავშირებულ საკითხებს.

"სამშვიდობოებთან დაკავშირებით, გაეროს მეგობარი ქვეყნების პოზიცია ფრთხილია. მათი განცხადებით, დსთ-ს ქვეყნების სამშვიდობოთა გაყვანის შემთხვევაში ვითარება უფრო დაიძაბება. უფრო მეტიც, მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში მშვიდობის გარანტის როლს თამაშობენ. ამ სამშვიდობოთა გაყვანის შემთხვევაში კი, შესაძლოა, გაეროს მისიის სამშვიდობოთა გასვლის საკითხიც დადგეს. ასე აფასებენ ამ საკითხს გაეროს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები," - განმარტა ხაინდრავამ.

მისი თქმით, საბოლოო დოკუმენტში, მართალია, არ არის საუბარი მათ დადებით თუ უარყოფით ფუნქციაზე, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ისინი "მშვიდობის გარანტად" რჩებიან. "ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა, თუმცა მეგობარი ქვეყნები საქართველოს ხელისუფლებას ზომიერებისკენ, სიფრთხილისკენ, გააზრებული ნაბიჯებისკენ მოუწოდებენ. უფრო მეტიც, სამხედრო რიტორიკისგან გათავისუფლებას გვირჩევენ," - აღნიშნა ხაინდრავამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თბილისში კონფერენცია "3+3" გაიმართება

6-დან 9 თებერვლის ჩათვლით თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, ე.წ "3+3" საპარლამენტთაშორისო კონფერენცია - "სტრატეგია რეფორმებისა და თანამშრომლობისათვის". კონფერენციის მიზანია ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დემოკრატიული რეფორმების გატარება.

კონფერენციას ლატვიის პარლამენტის თავმჯდომარე ინგრიდა უდრე, ლიტვის სეიმის თავმჯდომარის მოადგილე ჩეროსლავ იურსენი, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზიაფატ ასკეროვი დაესწრებიან.

თბილისში ჩამოვლენ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საპარლამენტო დელეგაციები, მარშალის ცენტრის, ნატო-ს, ეუთო-ს, აშშ-ს საზღვაო ძალების, ბუნდესტაგის წარმომადგენლები. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილავენ პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ჰარმონიზაციის, შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლისა და სამოქალაქო მენეჯმენტის საკითხებს. კონფერენციაზე მთავარი მომხსენებელია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. კონფერენციის მსვლელობისას დაგეგმილია ღია დისკუსიები, სამუშაო შეხვედრები. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# "ენერგოკრიზისი შოკი იყო ევროპისათვის"

პირველი გვერდიდან

მაგრამ მთავარი არის ის, რომ ამ განცხადებების შინაარსი და მიმართულება იყო სწორი. ფაქტია, რომ ერთდროულად სამი სხვადასხვა აფეთქება უბრალო დამთხვევა არ არის.

კონკრეტულად ვინ იდგა ამ აფეთქების უკან, ძალიან ძნელი სათქმელია - კრემლი, სხვა სახელმწიფო უწყებები თუ კერძო ჯგუფები. თუ ეს იყო რუსეთის სახელმწიფო უწყებების მოწყობილი, იცოდა თუ არა ამის შესახებ კრემლმა? თუ კრემლში იცოდნენ, ინფორმირებული იყო თუ არა პირადად პუტინი? ასე რომ, ამ თემაზე სპეკულირება დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ გაზსადენების და ელექტროგადამცემი ხაზის დაცვა რუსეთის ხელისუფლების ვალდებულება და პასუხისმგებლობაა. ხოლო თუ ეს ვალდებულება ვერ შეასრულა, პასუხისმგებლობაც მან უნდა აიღოს.

**- რა გამოსავალი არსებობს იმ ჩიხიდან, რომელშიც ქართულ-რუსული ურთიერთობები შევიდა? ეს ურთიერთობები ხომ არც მანამდე ყოფილა მარტივი.**

- ეს ძალიან რთული კითხვაა. მე რომ ზუსტი პასუხი ვიცოდე, დავურეკავდი საქართველოს პრეზიდენტს და ამის თაობაზე აუცილებლად ვეტყოდი.

ვფიქრობ, რომ, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებამ ეს ისტორია ძალიან მშვიდად და გონივრული გზით უნდა მიაწოდოს დასავლეთს და ამ საკითხით დააინტერესოს. მართალი რომ გითხრათ, ძალიან ბევრ ადამიანს დასავლეთში კარგად არ ესმის, რაც ახლა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ უკვე მოხდა უკრაინასა და მოლდოვაში, დასავლელ პოლიტიკოსებს მაინც უჭირთ იმის გაგება, თუ რა პოლიტიკა იმალება გაზით "თამაშის" უკან. ეს კი კარგად უნდა აიხსნას. რაც ცხადია თბილისში, ის არ არის ცხადი პარიზში, რომში, ლონდონში და ასე შემდეგ.

**- მაგრამ, მას შემდეგ, რაც უკრაინასა და რუსეთს შორის დაწყებული გაზის ომით ევროპაც დაზარალდა, დასავლეთში, ალბათ, ნიადაგი უფრო მომზადებულია მსგავსი ისტორიების გასაგებად?**

- ზუსტად - უკეთესად მომზადებული ნიადაგი. ეს ნიადაგი კი ხელს შეუწყობს იმას, რომ დასავლეთში საქართველოს არგუმენტები უკეთესად გაიგონ. მაგრამ ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ეს არგუმეტი საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდეს და ის დამაჯერებლად გამოიყენოს. ადამიანები ძალიან უცნაური არსებები არიან. მაშინ, როდესაც ევროპა ენერგოკრიზისის საფრთხის წინაშე იდგა, ყველა ძალიან ღელავდა და განიცდიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს პრობლემა მოგვარდა, საკითხი დავიწყებას მიეცა, სხვათა შორის - აქაც, თბილისში.

**- როგორ უნდა ჩამოაყალიბოს არგუმენტები ხელისუფლებამ, რომ ის გასაგები გახადოს დასავლეთისთვის?**

- დასავლეთს საკმაოდ უჭირს იმ დამოკიდებულების გაგება, რომელიც რუსეთს მსოფლიოს პოსტსაბჭოთა ნაწილის მიმართ გააჩნია. რატომ უნდა აეფეთქებინა რუსეთის ხელისუფლებას თავისი საკუთარი გაზსადენი? რატომ უნდა შედიოდეს ეს რუსეთის ინტერესებში? როდესაც არა გაქვს სამხილები, მე, როგორც დასავლეთის წარმომადგენელს, ვერ დამარწმუნებ, რომ ეს რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილი აფეთქებაა.

**- ანუ, რამდენადაც მესმის, არგუმენტია საჭირო იმისათვის, რომ ყველას დაუმტკიცო, თუ რატომ უნდა აეფეთქებინა რუსეთს თავისი საკუთარი გაზსადენი?**

- ზუსტად ასეა. მე კი, რადგან, სხვებისაგან განსხვავებით, ძალიან დიდ დროს ვატარებ საქართველოში და მეტ-ნაკლებად კარგად მესმის, თუ რა ხდება საქართველოსა და რუსეთს შორის, ყველაფერი განსაკუთრებული არგუმენტების გარეშეც მესმის. რუსეთი მუდმივად ცდილობს საქართველოს დაშინებას სხვადასხვა მეთოდებით. ის ნამდვილად არ არის კმაყოფილი იმ კურსით, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ და ხელისუფლებამ აირჩია. და რუსეთი, თუ შეიძლება ითქვას, შეურაცხყოფილიც კი არის საქართველოს საქციელით.

მე ვფიქრობ, რომ ეს რეალობაა, მაგრამ ამის გაგება დასავლეთში უჭირთ. მათი შეხედულებებით საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მან თავად უნდა გააკეთოს არჩევანი. ასე რომ, ისინი ვერ ხვდებიან, რაშია პრობლემა. მათ უჭირთ იმ ძალიან ღრმა ისტორიულ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებში ჩაწვდომა, რომელიც ამ ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობს. ხოლო თუ ყველაფერი ეს არ იცი, მაშინ, რა თქმა უნდა, რთულია მიხვდე, თუ რატომ უნდა ჩაედინა რუსეთს ისეთი არალოგიკური ქმედება, როგორიც საკუთარი გაზსადენების აფეთქებაა.

ასეთი რამ მართალც არალოგიკურია დასავლურ სამყაროში, სადაც სტაბილურობა ყველაზე



დღეს ბევრგან გაიგონებთ, რომ საჭიროა ენერგოუსაფრთხოების პრობლემას უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს და ენერგომომარაგების ალტერნატიული მარშუტები იქნას განხილული. ასეთ განცხადებებს თქვენ ერთი წლის წინ ვერ მოისმენდით.

მეტად ფასობს და სადაც ყველაფერი დოლარებითა და ცენტებით იზომება; სადაც მთავარი კომერციული ინტერესი და მოგებაა და სადაც შენს მეზობელთან მჭიდრო კომერციული ინტერესები გაკავშირებს. ასეთ სამყაროში, ბუნებრივია, ძალიან ძნელია იმის გაგება, თუ რატომ უნდაააფეთქოს ქვეყნის ხელისუფლებამ თავისი საკუთარი გაზსადენი. მაგრამ ყოფილ საბჭოთა სივრცეში, კომეციულ მოგებაზე და ლოგიკაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მესიჯების გაგზავნა და გეოპოლიტიკური თამაშებია.

რა თქმა უნდა, ზუსტად არავინ იცის, ვინ ააფეთქა ეს გაზსადენები და ამის შესახებ ინფორმაცია, ბუნებრივია, არც მე მაქვს. მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ყველაფერი ძალიან რთული თამაშის ნაწილია.

**- თუ თავს დავანებებთ კომერციულ ლოგიკას, საქართველოს მოქცევა ეკონომიკურ ბლოკადაში პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძალიან წამგებიანი იყო, რადგან ამან კიდევ უფრო გააძლიერა მოსახლეობაში ანტირუსული განწყობა. ამას რუსეთი ვერ ხვდება?**

- გულწრფელად რომ გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, ამას ხვდება თუ არა რუსეთის ხელისუფლება. მაგრამ რუსეთს ძალიან უჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ საქართველო სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანაა და საკუთარი ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებს.

ვფიქრობ, იმის გათვალისწინებით, თუ რა ისტორიული პრობლემები ჰქონდა და აქვს საქართველოს რუსეთთან, ქართველი ხალხი ძალიან მიმტევებელია რუსეთის მიმართ. მაგრამ როდესაც ხალხს გაზის მიწოდებას უწყვეტ, ის, ბუნებრივია, ბრაზდება და შენს წინააღმდეგ განეწყობა.

**- ანუ რუსეთი საკუთარ გავლენის სფეროში საქართველოს დაბრუნებას დაშინების გზით ცდილობს და არა იმით, რომ საქართველოსთვის მიმზიდველი იყოს რუსეთთან ახლო და სტრატეგიული კავშირი?**

- როდესაც საუბარია თავისუფალ ბაზარზე, ამ შემთხვევაში მიმზიდველობა გადამწყვეტია.

მაგალითად, შვეიცარიას არ დაუპყრია იტალია, რომ საზღვაო პორტი გამოეყენებინა. მას არ სჭირდება საფრანგეთის დაპყრობა იმისათვის, რომ შვეიცარიელმა ხალხმა საფრანგეთის საზღვაო კურორტებზე დაისვენოს. შვეიცარიაში ფული შედის იმიტომ, რომ მათი საბანკო სისტემა მიმზიდველი და საიმედოა. საკუთარი მიმზიდველობის შესაქმნელად შვეიცარიას არ სჭირდება ძლიერი კუნთების ჩვენება. ეს არის გარღვევა აზროვნებაში, რომელიც ევროპაში დიდი ხნის წინ მოხდა.

მაგრამ სამყაროს ამ ნაწილში ჯერჯერობით ეს ასე არ არის. რუსეთი ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს. ამიტომაც არის, რომ მას იმის სურვილი კი არა აქვს, საკუთარი ქვეყანა მიმზიდველი გახადოს საქართველოსთვის, არამედ ცდილობს, დააშინოს მეზობელი და ამ გზით დააბრუნოს საკუთარი გავლენის ქვეშ.

**- რამდენიმე დღის წინ მოწყობილ პრესკონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიმართ კარგს არაფერს მოუტანს რიგით ქართველს...**

- ეს ზუსტად იმ მენატლიტეტის გამოხატულებაა, რომელზეც ახლა ვსაუბრობდი.

პირად მე, ეს განცხადება ასე გავიგე, რომ, ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რიგით ქართველებს უნდათ რუსეთთან მეგობრობა, რომ ისინი მხარს არ უჭერენ სააკაშვილის პოლიტიკას რუსეთის მიმართ, რომ საქართველოს მოსახლეობას პუტინი უფრო კარგად უგებს, ვიდრე საკუთარი ხელისუფლება.

მე კი მგონია, რომ რეალობა საპირისპიროს აჩვენებს. ენერგობლოკადამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართევლოს დამოუკიდებლობა და გააძლიერა მიხეილ სააკაშვილის პოზიციებიც, რადგან საქართველოს მოსახლეობას არ სურს, რომ რუსეთი ასე ექცეოდეს, არ მოსწონს, რომ მას აშინებენ.

**- ის ქვეყნები, რომლებიც ადრე იმპერიები იყვნენ, დღეს ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საკუთარი დანაშაული გამოისყიდონ იმ ხალხების მიმართ, რომლებიც მათი იმპერიული ამბიციების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთი დღემდე არ აღიარებს თავის შეცდომებს და კვლავ იმპერიის აღდგენაზე ოცნებობს. რაშია პრობლემა, რუსეთის ნაციონალურ თავისებურებაში თუ საბჭოთა კავშირის დანგრევიდან ჯერ საკმარისი დრო არ გასულა?**

- თუ ვაღიარებთ გერმანიასა და იაპონიას, როგორც ისტორიულ პრეცედენტს, განსხვავება ისაა, რომ იაპონიაც და გერმანიაც დამარცხებული ქვეყნები იყვნენ. როდესაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, აღარ არსებობდა არც გერმანიისა და არც იაპონიის მთავრობები. ახალი გერმანული და იაპონური სახელმწიფო ნანგრევებიდან აღდგა.

ცივი ომი ასე არ დასრულებულა. საბედნიეროდ ომი საერთოდ არ ყოფილა და რუსეთს არ დასჭირვებია ნანგრევებიდან აღდომა. ასე რომ, ეს განსხვავება ძალზე მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ მე შენ პატივისცემით მოგეპყრა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა ვცემდე პატივს.

გულწრფელად ვფიქრობ, რომ თვითონ რუსეთშიც ბევრი ეჭვი არსებობს იმაზე, შეუძლია თუ არა რუსეთს გახდეს მართლაც წარმატებული ქვეყანა თანამედროვე მსოფლიოში.

განსხვავება არის ის, რომ საბჭოთა იმპერია რუსეთის ქმნილება იყო. როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, დანარჩენი 14 რესპუბლიკისთვის ამას დამარცხებით გამოწვეული სირცხვილი არ მოუგვრია, მაგრამ ეს პროცესი ძალიან მტკივნეულად აიღიქვა რუსეთმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მე ვფიქრობ, რუს ხალხს თვითიდენტიფიკაციის პრობლემები შეექმნა - ვინ არიან, საით მიდიან და ასე შემდეგ.

ქართველმა ხალხმა კი ზუსტად იცის, რა უნდა, საით მიდის და როგორი სახელმწიფო უნდა შექმნას.

**- რუსეთი დღეს გაზის ბაზარზე კვაზი მონოპოლისტია. ეს კი მას ბერკეტებს აძლევს იმისათვის, რომ თავი გავლენიან და ძლიერ სახელმწიფოდ იგრძნოს. ის არ გრძნობს აუცილებლობას, რომ დემოკრატიული რეფორმები გაატაროს, რადგან ბიუჯეტში ფული შემოდის და გაზის გამო დასავლეთი სერიოზულ ანგარიშს უწევს.**

- ლიდერების დონეზე, რა თქმა უნდა, რუსეთი დემოკრატიით დაინტერესებული არ არის. მე ვფიქრობ, რომ რუსეთი არა თუ წინ, არამედ უკანაც კი მიდის ამ თვალსაზრისით. მაგრამ იქ არის ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც მხარს დემოკრატიას უჭერს და ძალიან აწუხებს ის, რაც დღეს ხდება. სამწუხაროდ, ისინი ჯერ უმრავლესობა არ არიან.

ენერგომატარებლებზე მაღალი ფასის გამო რუსეთს ძალიან დიდი შემოსავლები აქვს. ეს მას, რა თქმა უნდა, დიდი ძალაუფლების განცდას აძლევს. გარდა ამისა, მთელი ევროპა ცდილობს, რომ კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნოს რუსეთთან, რათა მან ის გაზის უწყვეტი მომარაგებით უზრუნველყოს.

ზოგადად, ევროპამ დიდი შეცდომა დაუშვა რუსეთთან ურთიერთობაში. დასავლეთმა იმდენად ირწმუნა, რუსეთი სერიოზული ცვლილებების გზას დაადგაო, რომ ყველა გავლენიან ორგანიზაციაში საპატიო სტუმრად დაპატიჟა. რუსეთი დიდი რვიანის თავმჯდომარე გახდა, რაც ჩემთვის ამბსოლუტურად გაუგებარია. რუსეთი, იმ ვითარებაში, რომელშიც ახლა არის, თავმჯდომარეობს ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაში მსოფლიოს ყველაზე განვითარებული სახელმწიფოები შედიან.

ეს ჩვენი ბრალია, რადგან ჩვენ არ მოვთხოვეთ რუსეთს რეფორმების გატარება მანამ, სანამ დავაჯილდოვებდით.

მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამ ზამთრის გამოძახილი კიდევ დიდხანს გაჰყვება ევროპას და შესაძლოა, მისი პოლიტიკაც შეცვალოს. ენერგოკრიზისი შოკი იყო ევროპისათვის. როდესაც ამის შესახებ ძალიან მოზომილი პოლიტიკის მქონე შვედეთის პრემიერ-მინისტრიც კი გამოხატავს შეშფოთებას, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. რუსეთის, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯი, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა დასავლეთში.

უცხოეთი

# გადარჩენილი მოჰაჭირები გემის ჩაძირვაში ეკიპაჟს ადანაშაულებენ

წითელ ზღვაში ჩაძირული "სალაამ 98"-ის გადარჩენილი მგზავრები, გემის ჩაძირვაში მის ეკიპაჟს ადანაშაულებენ.

მათი განცხადებით, როდესაც გემზე ხანძარი გაჩნდა, ის საუდის არაბეთის სანაპიროდან 40 კილომეტრში იმყოფებოდა და უკან დაბრუნება შეეძლო. მაგრამ ეკიპაჟის წევრებმა განაცხადეს, რომ სიტუაციას აკონტროლებდნენ და ეგვიპტისაკენ გზა განაგრძეს, რომლამდეც 200 კილომეტრი იყო დარჩენილი.

ზოგიერთი გადარჩენილი მგზავრი იმასაც იუწყება, რომ მეზღვაურები პანიკაში მყოფ მგზავრებს საკუთარ კაიუტებში კეტავდნენ, თუმცა ამ ინფორმაციას ყველა მათგანი არ ადასტურებს.

ეგვიპტის სანაპირომდე დაახლოებით 100 კილომეტრის დაშორებით გემბანზე აფეთქება მოხდა და ის ჩაიძირა. მგზავრების განცხადებით, გემის ეკიპაჟის წევრები საერთოდ არ ეხმარებოდნენ მგზავრებს, რომ ისინი გადარჩენილიყვნენ.

"ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ფილმ "ტიტანიკში", - იხსენებს გადარჩენილი საიედ აბდულ ხაკიმი, - ეკიპაჟის წევრებიდან არავის არ მიუღია მონაწილეობა ზღვაში სამაშველო ნავების ჩაშვებაში. მათ არც კი აუხსნიათ ჩვენთვის მათი გამოყენების წესები. მე წყალში 3 საათის განმავლობაში ვიმყოფებოდი, შემდეგ კი რეზინის ნავი შევნიშნე და მასში ჩავჯექი. ნავში 18 საათი გავატარე. თავს უკვე მკვდრად ვთვლიდი."

მგზავრების მტკიცებით, გემის კაპიტანმა და მეზღვაურებმა პირველებმა დატოვეს გემი სამაშველო ნავით. ისინი აქამდე დაკარგულებად ითვლებიან.

"სალაამ 98"-თან, რომელიც საუდის არაბეთიდან ეგვიპტისკენ მიცურავდა, კავშირი ხუთშაბათს ადგილობრივი დროით 19 საათზე გაწყდა. პარასკევს დილით ეგვიპტის მთავრობამ განაცხადა, რომ გემი ჩაიძირა. ბოლო მონაცემებით მასზე 1 400-ზე მეტი მგზავრი იმყოფებოდა, რომელთა უმრავლესობა ჰაჯიდან ბრუნდებოდა. მათგან მხოლოდ ოთხასამდე ადამიანი გადარჩა.

*ჯი ეიჩ ენი*

# კარიკატურების ომი სახიფათო ხდება

## ბეირუთში დანიის დიპლომატიური მისია გადაწვეს



დანიურ პრესაში მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურების დაბეჭდვის გამო, ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში გამართული დემონსტრაციის მონაწილეებმა დანიის საელჩო გადაწვეს. ლიბანის პოლიციამ დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც რამდენიმე დემონსტრანტი დაიჭრა.

თვითმხილველების განცხადებით, ინციდენტის ადგილიდან სასწრაფო დახმარების მანქანებით ათამდე ადამიანი გაიყვანეს. მათივე თქმით, სერიოზული ზარალი მიადგა ბეირუთის ქრისტიანულ უბნებსაც.

დარბევა დაიწყო მას შემდეგ, რაც პროტესტანტებმა დანიის საელჩოს ღობის მიღმა გადასვლა დააპირეს. თუმცა დემონსტრანტების ნაწილმა მოახერხა პოლიციის კორდონის გარღვევა, საელჩოს ღობის გადალახვა და შენობისთვის ცეცხლის წაკიდება.

თვითმხილველების განცხადებით, დამწვარია საკონსულოს შენობა, თუმცა მასთან მიახლოება შეუძლებელია, რადგან ქუჩები გადაჭედილია ხალხით. პოლიციის მცდელობის მიუხედავად, პროტესტანტების 15 ათასიანი ბრბოს გარღვევა საკონსულოს შენობამდე მისაღწევად ვერ ხერხდება.

სუნიტებისა და შიიტების რელიგიურმა ლიდერებმა დემონსტრანტებს მოუწოდეს, შეინარჩუნონ დემონსტრაციის მშვიდობიანი ხასიათი. **"მსგავსი ქმედებები შეურაცხყოფენ ისლამს. დემონსტრაცია არ უდა გამოდიოდეს მშვიდობიანი მანიფესტაციის ფარგლებიდან,"** - ნათქვამია რელიგიური ლიდერების ერთობლივ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ საელჩოს წარმომადგენლებმა შაბათს გვიან ღამით მოახერხეს ბეირუთის დატოვება მას შემდეგ, რაც მსგავსი მიტინგები სირიაში დანიისა და ნორვეგიის საელჩოების დარბევით დასრულდა. სირიის მთავრობამ გუშინ ოფიციალური ბოდიში მოუხადა დანიის, ნორვეგიის, შვეციისა და ჩილეს მთავრობებს მიყენებული მატერიალური ზარალისთვის.

# აჰმადინეჯადი: ირანის პროგრესს წინ ვერავინ აღუდგება

პირველი გვერდიდან

სააგენტო "ესოშიეთედ პრეს"-მა კვირას გაავრცელა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მანუჩერ მოთაყის განცხადება, რომლის თანახმადაც ისლამური რესპუბლიკა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოსთან ნებაყოფლობით თანამშრომლობას წყვეტს.

**"პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე ჩვენ ვწყვეტთ მაგატეს-თან ყველანაირ ნებაყოფლობით თანამშრომლობას, რომელიც უკანასკნელი ორნახევარი-სამი წლის განამვლობაში გვქონდა,"** - ამბობს მოთაყი, - **ჩვენ უკვე აღარ გვაკისრია არანაირი ვალდებულება (ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების) დამატებით ოქმთან მიმართებაში."**

განკარგულება სააგენტოსთან ირანის თანამშრომლობის გაწყვეტაზე ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა შაბათს გასცა. ეს თეირანის საპასუხო ნაბიჯი იყო მაგატე-ს მმართველი საბჭოს რეზოლუციაზე, რომლის თანახმადაც, სააგენტოს ხელმძღვანელმა მუჰამედ ელ-ბარადეიმ გაერო-ს უშიშროების საბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თეირანის შემდგომ ნაბიჯებზე, რომლითაც ირანი საკუთარი ატომური იარაღის შექმნაზე უარს იტყვის. შაბათს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭოს სხდომაზე ასეთი შინაარსის რეზოლუციას 27 ქვეყანამ დაუჭირა მხარი, სამი წინააღმდეგი იყო, კიდევ ხუთმა თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის მხარდამჭერთა შორის იყო რუსეთიც.

**"რამდენიც გინდათ, იმდენი რეზოლუცია შეგიძლიათ მიიღოთ, მაგრამ ირანელი ხალხის პროგრესს წინ ვერ აღუდგებით,"** - ასე უპასუხა ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა და მიანიშნა, რომ ირანი განაახლებს ფართომასშტაბიან სამუშაოებს ურანის გამდიდრებაზე და არ დაუშვებს საერთაშორისო ინსპექტორებს ატომურ ობიექტებზე დაუგეგმავი შემოწმებების ჩასატარებლად.

**"ისინი აპირებენ, სააგენტოს სახელით ჩვენი სამხედრო ობიექტები შეამოწმონ, რათა სრული წარმოდგენა შეექმნათ ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობებზე. მაგრამ ამის საშუალებას არ მივცემთ,"** - განაცხადა აჰმადინეჯადმა გუშინ ახალი სატელეკომუნიკაციო ცენტრის გახსნაზე.

შეგახსენებთ, აქამდე მაგატესთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, ირანს მორატორიუმი ჰქონდა გამოცხადებული ურანის გამდიდრების სამუშაოებზე და სააგენტოს წარმომადგენელებს ყველა ბირთვული ობიექტის მონახულების უფლებას ნებაყოფლობით აძლევდა.

მაინც რა შეიძლება მოჰყვეს მაგატე-ს რეზოლუციას? რას შეიძლება გულისხმობდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს "გარკვეული ზომები" (იმ შემთხვევაში, თუ ბარადეის ანგარიშის საფუძველზე უშიშროების საბჭოს ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს)? პირველ რიგში, სავარაუდოდ, ირანს მოუწოდებენ შეასრულოს მაგატე-ს მოთხოვნები, ანუ გააუმჯობესოს ამ სააგენტოსთან თანამშრომლობის ხარისხი და "გაყინოს" ბირთვული პროგრამაზე მუშაობა.

ამის შემდეგ, უშიშროების საბჭოს სხვადასხვა სახის სანქციების დაწესების შესაძლებლობა გააჩნია - ოფიციალური პირებისთვის სამგზავრო ვიზებზე უარიდან დაწყებული, პოლიტიკური დ ეკონომიკური სანქციების დაწესებამდე. თუმცა, ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, მხოლოდ საბოლოო ვარიანტი იქნება. მით უმეტეს, რომ, ალბათ, თვეები დასჭირდება რუსეთისა და ჩინეთის დათანხმებას ეკონომიკურ სანქციებზე. საქმე ისაა, რომ რუსეთი ირანის ბირთვული პროექტიდან (რეაქტორების მშენებლობაში მონაწილეობა, ბირთვული საწვავით უზრუნველყოფა) მილიარდობით აშშ დოლარის სარგებელის მიღებას გეგმავს, ხოლო ჩინეთი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ირანულ ნავთობზე. ასე რომ, ნათელია, ორივე ქვეყანას სრულიად პრაგმატული მიზნები ამოძრავებს.

**"ჩვენ გონივრულად ვმოქმედებთ. წინასწარ შემუშავებული გვაქვს იმ პრობლემების გადაწყვეტის გზები, რომელიც შესაძლოა შეგვხვდეს,"** - ალბათ, სწორედ ამიტომ განაცხადა ირანის ბირთვული პროგრამის ხელმძღვანელმა ჰამიდ რეზა ასეფიმ, თანაც იქვე ორაზროვნად მიანიშნა, რომ არ არის გამორიცხული, თეირანი რუსეთის წინადადებას დათანხმდეს, როემლიც რუსეთის ტერიტორიაზე ურანის გამამდიდრებელი ერთობლივი საწარმოს შექმნას გულისხმობს.

სხვათა შორის, მიუნხენში კვირას კონფერენციაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმაც აღნიშნა, რომ რუსეთის წინადადება ირანისთვის ჯერ კიდევ ძალაში რჩება და მისი რეალიზაცია თეირანს მსოფლიო ატომური ენერგეტიკის განვითარების კანონიერ უფლებას მიანიჭებს. **"არ ვარ დარწმუნებული, რომ სანქციები ეფექტური იქნება - ერაყის შემთხვევამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ყოველთვის არ არის შედეგის მომტანი,"** - განაცხადა ივანოვმა.

მოკლედ

## რამიშვილი-კოხრეიძის სასამართლო პროცესზე ჟურნალისტებს დაკითხავენ

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესი, რომელიც 7 თებერვალს განახლდება, ახალ ეტაპზე გადადის. თუ აქამდე პროცესზე ბრალდების მხარის მიერ დასახელებული მოწმეები იკითხებოდნენ, ამჯერად სასამართლოს დაცვის მოთხოვნით გამოძახებულ პირთა ჩვენებების მოსმენა მოუწევს. წინასწარი ინფორმაციით, სხდომაზე რამდენიმე მოწმე დაიკითხება. როგორც შალვა რამიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა გოჩა სვანიძემ განაცხადა, პროცესზე გამოძახებულია მოწმე ზურაბ ბაიდოშვილი, რომლისგანაც, საქმის მასალების თანახმად, პარლამენტარმა კობა ბექაურმა რამიშვილისთვის გადასაცემი 30 000 დოლარი ისესხა.

სხდომაზე იგეგმება ასევე სტუდია "რეპორტიორის" დამფუძნებლებისა და ჟურნალისტების - ვახტანგ კომახიძის, ზელა ზაქაიძის და ლიკა ბასილაიას დაკითხვაც. მოსამართლე ნინო სანდოძემ მოწმის სახით სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტების გამოძახების გადაწყვეტილება გასულ სასაამართლო პროცესზე მიიღო. ჟურნალისტების დაკითხვა, რომლებმაც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" კობა ბექაურის ინტერესების შესახებ ფილმი მოამზადეს, დაცვის მხარემ მოითხოვა. ბრალდების მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა მაინც დააკმაყოფილა.

განსასჯელთა ადვოკატების განცხადებით, ბრალდების მხარის მიერ მიწვეულ მოწმეებს რამიშვილი-კოხრეიძის საქმესთან არსებითი შეხება არ ჰქონიათ და, აქედან გამომდინარე, მათი ჩვენებებით არაფერი შეცვლილა. ფილმის ავტორების დაკითხვის შემდეგ კი, მათი აზრით, სიმართლეს აეხდება ფარდა. ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი შალვა რამიშვილი და ამავე ტელეკომპანიის დირექტორი დავით კოხრეიძე უკვე მეექვსე თვეა პატიმრობაში იმყოფებიან. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მათ მაქსიმუმ 6 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. თუმცა, როგორც ამჟამინდელი განსასჯელების ახლობლები ირწმუნებიან, იმ შემთხვევაში, თუ ქართული მართლმსაჯულება "202"-ელთა უდანაშაულობას არ აღიარებს, რამიშვილი-კოხრეიძის საქმე სტრასბურგის სასამართლოში გადაინაცვლებს. **24 საათი**

## ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ძმები დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ძმები ხვიჩა და ვალერი ბენდელავები დააკავეს. ბენდელავები ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში მცხოვრებ თორდიების ოჯახს. თავდასხმის შესახებ შეტყობინება პოლიციაში შევიდა, რის შემდეგაც სამხარეო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ძმები ბენდელავები ცხელ კვალზე დააკავეს. ეჭვმიტანილებისგან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ნიღბები, დანები და ოჯახიდან წაღებული ნივთები.

წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელები სავარაუდოდ ოთხნი იყვნენ. სამართალდამცველები, ამჟამად ამავე დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, შესაბამის ოპერატიულ ღონისძიებებს ახორციელებენ. **ინტერპრესნიუსი**

## სოზარ სუბარი ტელეკომპანიაზე განხორციელებული თავდასხმის გამოძიებას მოითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ თელავის დამოუკიდებელ ტელეკომპანია "თანამგზავრში" ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები საინფორმაციო საშუალებების მხრიდან ცალმხრივად შუქდება. როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, ტელეკომპანია რეალურად კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებმა დაისაკუთრეს. იგი სამართალდამცავ ორგანოებს მოვლენების ობიექტურად გამოძიების მოთხოვნით მიმართავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ომბუდსმენმა სპეციალური პრესკონფერენცია ტელეკომპანია "თანამგზავრის" დაფუძნებელთან და ყოფილ პრეზიდენტთან ზურაბ ქუმსიაშვილთან ერთად გამართა. როგორც ქუმსიაშვილი აცხადებს, ტელეკომპანიაში მისი პრეზიდენტობის პერიოდში, კერძოდ, 2004 წლის 2 მარტს, კახეთში "ფეოდალის" სახელით ცნობილი ლუკა რამაზაშვილი და შეიარაღებული პირები მის კაბინეტში ძალის გამოყენებით შეიჭრნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ტელეკომპანიიდან გამოაძევეს. ამის შემდეგ, ქუმსიაშვილის თქმით, შეიარაღებულმა პირებმა სასწრაფოდ დამფუძნებელთა კრება მოიწვიეს, სადაც ტელეკომპანიის პრეზიდენტის თანამდებობაზე ენრი კობახიძე აირჩიეს.

საქართველოს სახალხო დამცველი და მასთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" სამართალდამცავ ორგანოებს კრიმინალური დაჯგუფებების მის ტელეკომპანიაზე განხორციელებული თავდასხმის სრული და მიუკერძოებელი გამოძიების მოთხოვნით მიმართავს და მომხდართან დაკავშირებით, ადეკვატური ზომების გატარებას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

BRITISH COUNCIL

### საჰაერო მართვის მეთვალყურეთა მომზადება

ზოგადი პროფესიული განათლების მიღების მსურველებს შპს "საქაერონავიგაცია" სთავაზობს საჰაერო მართვის მეთვალყურეების მოსამზადებელ კურსებს. მსურველთა შერჩევა მოხდება ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით.

სწავლება დაიწყება მიმდინარე წლის მაისში შპს "საქასტაკის" საერთაშორისო სასწავლო ცენტრში, მისამართზე: თბილისი, აეროპორტი 0158. სწავლებას წარმართავენ ბრიტანელი ინსტრუქტორები ICAO-ს მიერ აკრედიტებული პროგრამით. სწავლება იწარმოებს ინგლისურ ენაზე. კურსდამთავრებულების მიერ შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემდგომ მოხდება მათი დასაქმება შპს "საქაერონავიგაციაში".

აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ასაკი - 19-დან 25 წლამდე
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა, რაც შემოწმებული იქნება ტესტირებით
- ტექნიკური საგნების (მათემატიკის) ცოდნა
- ინტერესი ავიაციის სფეროსადმი
- დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა

მსურველებს გთხოვთ, მიმართოთ ბრიტანეთის საბჭოს სააპლიკაციო ფორმებისათვის, შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზირი N34, 17.00 საათამდე ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, ტელ: 250407; 988014; 923402; 935723 ან იხილეთ ვებ-გვერდი www.britishcouncil.org/ge. შევსებული ფორმები უნდა დაუბრუნდეს ბრიტანეთის საბჭოს 24 თებერვლამდე.

განაცხადების შერჩევის შემდეგ, 14 მარტს ჩატარდება ინგლისური ენის ტესტი "შერატონ მეტეხი პალასში ". ტესტში გასული მონაწილეები გაივლიან გასაუბრებას, როელიც ჩატარდება უშუალოდ ინგლისელების მიერ 24 მარტს.

# ნინო კალანდაძის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლო იმსჯელებს

7 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში პარლამენტარ ნინო კალანდაძის წინააღმდეგ, ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების მიერ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით, პირველი სხდომა გაიმართება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოსამართლეების სარჩელი წარმოებაში 30 იანვარს მიიღო, რის საფუძველზეც ნინო კალანდაძეს იუსტიციის საბჭოს წევრის უფლებამოსილება დროებით შეუჩერდა. მოსამართლე მერაბ ტურავას თქმით, კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეების საქმის განხილვა მანამდე უნდა გადაიდოს, სანამ საბჭოს წევრის - კალანდაძის აცილების შესახებ სასამართლოში შეტანილ სარჩელზე გადაწყვეტილება არ გამოცხადდება.

**"თუ სასამართლო ჩვენს სარჩელს მიიღებს, ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ნინო კალანდაძეს მოსამართლეების საქმის განხილვის უფლება არ ექნება. თუკი სასამართლო მოსამართლეების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ნინო კალანდაძე საბჭოს არაუფლებამოსილ წევრად გამოცხადდება, რაც ავტომატურად მისი მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებას გამოიწვევს. ამიტომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველაფერს გააკეთებინებენ იმისთვის, რომ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილონ",** - განაცხადა ტურავამ.



მერაბ ტურავა

მოსამართლეები ნინო კალანდაძის იურიდიულ სტაჟს ეჭვქვეშ აყენებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ მისი ბიოგრაფია გაყალბებულია. მოსამართლეების განმარტებით, კანონის თანახმად, იურისტი ვერ დაინიშნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, თუ მას არ გააჩნია იურისტად მუშაობის 5 წლის გამოცდილება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დაირღვა. ნინო კალანდაძე აღნიშნულ ინფორმაციას უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ მოსამართლეებს მისი იურისტად მუშაობის სტაჟის შესახებ სრული ინფორმაცია არ გააჩნიათ.

*24 საათი*

# თბილისში 14 წლის მოზარდი მოკლეს

საზარელი მკვლელობა მოხდა ვაკეში. დანით ხუთი ჭრილობის მიყენების შედეგად შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა 14 წლის ირაკლი გოგბერაშვილი. მისი ცხედარი თბილისის ცენტრში, ბერძენიშვილის ქუჩაზე იპოვეს.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, გოგბერაშვილს ჭრილობები გულის და ყელის არეში აქვს მიყენებული. ხუთი ჭრილობიდან სამი სასიკვდილო აღმოჩნდა, რამაც მოზარდის რამდენიმე წუთში სიკვდილი გამოიწვია. გარდაცვლილის ახლობლების აზრით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. სავარაუდოდ, სამართალდამცველებისთვის ცნობილია ეჭვმიტანილის ვინაობა. წინასწარი ინფორმაციით, მკვლელი 16 წლამდე ასაკისაა. იგი ჯერ არ დაუკავებიათ და მისი ვინაობაც გასაიდუმლოებულია.

როგორც ირკვევა, ინციდენტის დროს გოგბერაშვილთან ერთად იმყოფებოდა მისი მეგობარი, რომლის დაკითხვაც მკვლელობის ღამესვე დაიწყო და რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა, დაკითხვის დეტალები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება.

ირაკლი გოგბერაშვილი, რომელსაც გუშინ 15 წელი შეუსრულდებოდა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე იყო. მომხდართან დაკავშირებით, სამართალდამცველები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ. ამ დრომდე გაურკვეველი რჩება დანაშაულის რეალური საბაბიც. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას ვაკე-საბურთალოს რაიონული პოლიცია აწარმოებს.

*24 საათი*

# მინისტრმა სამეგრელოს სამართალდამცავთა მზადყოფნა შეამოწმა

შაბათს, გვიან ღამით, სამეგრელოს რეგიონში შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დათა ახალაია ჩავიდნენ. მათ არაოფიციალური შეხვედრა ჰქონდათ სამეგრელოს რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელებთან და ასევე - სხვა რეგიონის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა, დაახლოებით, საათნახევრის განმავლობაში გაგრძელდა, რის შემდეგაც, გვიან ღამით, ვანო მერაბიშვილმა მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება, მოენახულებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა სამმართველოს ზუგდიდის განყოფილება. მან შეამოწმა ჯარისკაცებისა და ხელმძღვანელი პირების მზადყოფნა საგანგაშო სიტუაციების შემთხვევაში. შემდეგ ვანო მერაბიშვილმა და დათა ახალაიამ შემოიარეს ზუგდიდის ქუჩები და დაათვალიერეს ქალაქი, რის შემდეგაც სამეგრელოს რაიონი დატოვეს.

*ინტერპრესნიუსი*

# ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის დაპატიმრების დეტალები

*სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, მოგელი ტყებუჩავა დააკავა. მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, ანუ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. ტყებუჩავას 2000-2001 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან შვეიცარული კომპანია "ფინკომიტის" ანგარიშზე 150 ათასი ამერიკული დოლარის გადარიცხვას ედავებიან.*

ქეთინო ჯაკობია
ფოთიდან

შვეიცარული კომპანია "ფინკომიტი" ფოთში 108-მეგავატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობის ოფიციალურ სპონსორად, აქციონერად და ინფრასტრუქტურის რეალიზაციაზე პასუხისმგებლად მოიაზრებოდა, 150 ათასი ამერიკული დოლარი კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან საპროექტო კვლევების, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზისა და ელექტროენერგიის პროდუქციის წარმოებისა და სამარკეტინგო შესაძლებლობების შესასწავლად გამოიყო.

მიუხედავად იმისა, რომ თბოელექტროსადგურის მშენებლობა 2001 წლის ივნისში უნდა დაწყებულიყო, დღემდე ფოთში არც "ფინკომიტის" წარმომადგენლები გამოჩენილან [illegible] ცხული თანხის უკან დაბრუნების უზრუნველყოფა და ბრალეული პირების დასჯა მოსთხოვა, ფოთის ახლანდელი მერი, ივანე სალინაძე პოტენციურ ინვესტორს ფოთში ეპატიჟებოდა და დამოუკიდებელი კვების წყაროს არსებობის შანსზე საუბრობდა. სალინაძე, რომელიც ადრე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას თავმჯდომარეობდა და თბოელექტროსადგურის მშენებლობის საქმეშიც ჩაბმული გახლდათ, მას შემდეგ, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ პროექტის რეალობის შესახებ ინფორმაცია და დასტური მოითხოვა, სხვაგვარად ალაპარაკდა: **"ჩვენ იძულებული ვართ, დავსვათ საკითხი საკრებულოსთან და ფულის უკან გამოთხოვის პროცედურა დავიწყოთ,"** - ამბობს იგი.

თბოელექტროსადგურის მშენებლობა ფოთში დიდი ხანია [illegible] **"სამუშაოები, გეგმიური მოდელის თანახმად, დადგენილ ვადებში მიმდინარეობს და გაჭიანურების მიზეზების შესახებ, რასაც ძირითადად პოლიტიკური რისკის ფაქტორის გამო პროექტის დაზღვევის შეფერხება განაპირობებს, კონტრაქტორი პერიოდულად აცნობებს საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს,"** - ამბობდა დაკავებამდე მოგელი ტყებუჩავა.

ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა თავის დროზე თქვა, რომ პირადად შეხვდა "ფინკომიტის" ხელმძღვანელობას და მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს. პროექტის რეალიზების ერთადერთ პრობლემად გილაურმა შემოთავაზებული მაღალი ტარიფი დაასახელა, თუმცა, ტარიფზე შეთანხმებაც არ გამორიცხა.

გარდა ამისა, სამხარეო პროკურატურაში "ფინკომიტის" პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტიც ინახება, სადაც წერია: **"მე არ მესმის თქვენი პრეტენზია საკითხთან დაკავშირებით, რადგან ჩვენი კონტრაქტი, ისევე როგორც შეთანხმება, რომელიც არის კონტრაქტის ხელუხლებელი ნაწილი, ძალაშია,"** - იტყობინებოდა დომენიკო ბრაგიერი.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის ბრალდებას თავისი საფუძველი აქვს: **"თანხის გადარიცხვა განხორციელდა ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის გარეშე. თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის ქ. ფოთის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი არ გამოყოფილა, რაიმე სახის დაპროექტების სამუშაოები არ შესრულებულა და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორ წელიწადში, აღნიშნული არ შესრულდა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ორჯერ,"** - მითითებულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ საოლქო პროკურატურის დადგენილებაში.

**"ბრალდება არის აბსოლუტურად უსაფუძვლო, აბსურდული. ეს არის სამართლებრივი ნონსესი, ვინაიდან ბრალში მითითებული უნდა იყოს, თუ სამსახურეობრივი უფლებამოსილებიდან რომელი ვალდებულება, ინსტრუქცია ან კონკრეტულად რომელი პუნქტი დაარღვია თავად ტყებუჩავამ. ასეთი რამ ბრალდებაში მითითებული არ არის. ალბათ საოლქო პროკურატურა ზემდგომთა ზეწოლას განიცდის და იმიტომ მიიღეს დაკავების გადაწყვეტილება,"** - ამბობს მოგელი ტყებუჩავას ადვოკატი ნუგზარ ტყებუჩავა.

მისივე თქმით, ორგანული კანონი საკრებულოს თავმჯდომარეს ერთი ხმის უფლებას ანიჭებს. კანონისვე იმპერატიული მოთხოვნით, [illegible] ეს უფლება არა აქვს, [illegible] საკრებულოს ხმათა [illegible] მიღებული სამართლებრივი აქტის ხელმოწერას, მე[illegible] მას უფლებამოსი[illegible]ტებასა და დაკისრე[illegible]ეობის შეუსრულებ[illegible]ვლება. საინტერესოა, [illegible] დაისაჯოს ტყებუჩავა [illegible] რატიფიცირებული [illegible] ხელმოწერისთვის? - [illegible] ადვოკატი. ამ შეკითხვაზე პროკურატურის პასუხი ასეთია: **"ფოთის საკრებულოს სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სახელმწიფო მოხელემ, მოგელი ტყებუჩავამ."**

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ "ფინკომიტთან" კონტრაქტს, ტყებუჩავას გარდა, ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი დავით მირცხულავა და ფოთის მერი აკაკი დარჯანია აწერენ ხელს. მირცხულავას შემთხვევაში, გასაგებია, რომ ფოთის თბოელექტროსადგური არავის გაახსენდებოდა, მაგრამ როდესაც დარჯანია დააკავეს, მრავალფურცლიან ბრალდებებში "ფინკომიტისთვის" გადარიცხული 150 ათასი დოლარი არსად ფიგურირებდა.

ასეა თუ ისე, მოგელი ტყებუჩავას უკვე შეეფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, იგი საპროცესო გარიგებაზე უარის თქმას და თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას აპირებს.

ტყებუჩავას დაკავების შემდეგ ენერგეტიკის სამინისტროში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, ფოთის მერიასა და საკრებულოში "ფინკომიტის" შეტყობინება მიიღეს, სადაც დომენიკო ბრაგიერი ქართულ მხარეს შვეიცარულ კომპანია "ატელთან" "ფინკომიტის" გაერთიანების შესახებ აცნობებს და ამბობს, რომ ფოთის თბოელექტროსადგურთან დაკავშირებული საპროექტო-კვლევითი სამუშაოები დასრულების სტადიაშია და თბოელექტროსადგურის მშენებლობის მეორე ეტაპისთვის საჭირო ხელშეკრულების გასაფორმებლად საქართველოში სტუმრობის თარიღს თებერვლის ბოლოს დააზუსტებს.




## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ანკეტა

სახელი, გვარი......................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.........................

საკონტაქტო ტელეფონი.........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible] ([illegible]);
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. [illegible] "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი.

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

## ნოდარ ლადარია




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



მძიმე დღეები გადავიტანეთ? - კაცმა რომ თქვას, იმდენად მძიმეც არ ყოფილა, რუსეთის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიიდან პირდაპირ ეთერში სარდაფის მსახიობის პირიდან რომ გაგვეგონა, ქართველები შუმერების ტოლი ერიაო. გაზის გამორთვამ ასე არ უნდა გაგვაყეყეჩოს ქართველი ერი და ამ ზომამდე მოთმინება არ უნდა დაუკარგოს ხელისუფლებას. შუმერთა დროიდან არსებული ერის ხელისუფალი ყველაზე მძიმე ვითარებისას, სულ მცირე, ლაგაშის მმართველ გუდეას პოზაში უნდა იჯდეს და ასევე დინჯად აუწყებდეს ხალხსა და მსოფლიოს თავისი გაჭირვებისა და მისი მიზეზების შესახებ.

თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელიაო: იქნებ ახლა მაინც ცხადი გახდეს ჩვენი ხელისუფლებისთვის, რომ მესიჯის შინაარსზე არა ნაკლები, არამედ ხშირად მეტი მნიშვნელობა აქვს მის ფორმას. ჩვენს შემთხვევაში — ტონს. ტონი კი, უნდა ითქვას, ორი კომპონენტისგან შედგებოდა: ერთი მხრივ, ისტერიული იყო (დაგვაქციეს! აგვაფეთქეს! არიქა!), მეორე მხრივ — დამრიგებლური. თუმცა ეს უკანასკნელი სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული: შეშისა და პურის დარიგებას ვგულისხმობ, რაც, როგორც თვითმხილველები ამტკიცებენ, თბილისის ზოგიერთ გარეუბანში ერთობ უმსგავსო გარეგნულ ხასიათს ატარებდა.

ისტერიაც და "დამრიგებლური" ტონიც ერთი საერთო თვისებით გამოირჩეოდა... მაგრამ ამას პირდაპირ ვერ მოგახლით: შესაძლებელია, ბევრს არც ახსოვს შესაბამისი ისტორიული რეალიები. უკვე მივეჩვიეთ, რომ სახელმწიფო მმართველობა რამდენიმე შტოსაგან შედგება — საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო. მაგრამ მაშინ, იმ წლებში, რომლებსაც ასე ხშირად ვიხსენებთ (იმდენად ხშირად, რამდენადაც უადგილოდ), საქმე სულ სხვაგვარად იყო, რადგან ადამიანების ყოველდღიურ ყოფით მეტყველებაში მყარად იყო გამჯდარი ერთი მანკიერი წყვილი: **პარტია და მთავრობა**. იმედია, ამგვარი შეხამების მანკიერობა ჯერ კიდევ არ საჭიროებს ახსნა-განმარტებას ან დასაბუთებას. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მალე ნამდვილად დაგვჭირდება...

პარტიისა და მთავრობის ერთიანობის მახინჯმა აჩრდილმა გაგვიელვა თვალწინ, როცა გამოაცხადეს, რომ ნავთი 40 თეთრად ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით გაიყიდება, როცა თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** ჟურნალისტები მოიწვია იმის გამოსაცხადებლად, რომ შუქსა და გაზს უთიშავს რუსეთის საელჩოს და ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურია. საქართველოს სახელმწიფო ჩვენთვის უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი (თუნდაც ნაციონალური) მოძრაობა. თუ მართლა გვგონია, რომ შუმერების დროინდელი ვართ — იმ დროს კი არავითარი ნაციონალური მოძრაობა არ ყოფილა — მაშინ ისიც უნდა გვწამდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო მაშინაც იქნება, როცა ეს მოძრაობა არსებობას შეწყვეტს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გვკვებავენ იმ ნახევრად მივიწყებული ლოზუნგებით, რომლებიც პარტიის მარადიულობას ამტკიცებდნენ. ჰოდა, თუ ასეა, სახელმწიფო აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, რატომ და საიდან აქვს ნაციონალურ მოძრაობას საშუალება, 40 თეთრად მიჰყიდოს ნავთი მოსახლეობას.

თუ მაინცდამაინც გაინტერესებთ ამ ბოლო წინადადების, ასე ვთქვათ, "ადამიანური" მოტივები, მოგახსენებთ, რომ ჩემთვის სამართლიანობა მადლიერებაზე მეტია. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ სამართლიანობა მომავლის გარანტიას შეიცავს, მადლიერება კი სხვა არა არის რა, თუ არა წარსულის ერთჯერადი პასუხი და მასზე ვერაფერს დაამყარებ. ალბათ ეს იმ მცირე გაკვეთილთაგანია, რომლის მიღება შესაძლებელია ისტორიისაგან...

სწორედ ამიტომ ავირჩიე ჩემი დღევანდელი პუბლიკაციის თემად **გია ნოდიას** სტატია *"ენ-ჯი-ო"-ები და დემოკრატიული ავტორიტარიზმი* (2 თებერვალი). მცირე ხნის განმავლობაში მეორედ ვეხმაურები გია ნოდიას. ამის წინ იყო გასული წლის 24 დეკემბერს გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ქურდულ მენტალობასა და მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას შეეხებოდა. ორივე ტექსტს აქვს ერთი და იგივე მახასიათებელი: ისეა დაწერილი, რომ სიტყვას ვერ ამოიღებ. უფრო მეტიც — ჩამატებაც ძნელია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, არსებობს კომენტარის ერთი მშვენიერი ხერხი — გამეორება, რომელსაც მე კი არა, იოანე პეტრიწი არ თაკილობდა. ვფიქრობ, მკითხველისთვისაც სასარგებლო იქნება, თუ ნახსენები სტატიის ანგარიშსაც წარვუდგენ და, თუ შევძლებ, მისი დებულებების ყველასათვის ცნობილ რეალობასთან დაკავშირებას შევეცდები.

ამასაც აქვს ერთგვარი ადამიანური მოტივაცია, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატა ფრანგმა მკვლევარმა **მიშელ ფუკომ**, რომელმაც კოლეჟ-დე-ფრანსში 1975-1976 წლებში წაკითხული სალექციო კურსი ასე დაასათაურა: "საზოგადოება უნდა დავიცვათ". დაუკვირდით: არ უთქვამს, "სამოქალაქო საზოგადოებაო". აქ ღრმა აზრი ძევს, რადგან სოციუმი ვერ დაიყვანება ორნაწილიან სქემამდე: ხელისუფლება — არახელისუფლება. მასში აუცილებლად უნდა იყოს სტრუქტურები, რომლებსაც ვერ გაუიგივებ ხელისუფლებას, მაგრამ რომელთა ფარგლებში შესაძლებელია ქმედითი გადაწყვეტილებების მიღება. მივსდიოთ სტატიის ტექსტს:

ტექსტის ამოსავალი წერტილი კი ისაა, რომ შევარდნაძის პერიოდში ეგრეთ წოდებული მესამე სექტორის ფუნქცია ცხადი იყო და ყველასათვის ცნობილი; ვარდების რევოლუციის შემდეგ ეს საყოველთაო სიცხადე ერთგვარი დაბნეულობით შეიცვალა. დაბნეულობის მიზეზებს ავტორი ასე აღწერს: **"ხელისუფლება აშკარად არ ამბობს, რაღად მინდა ეს არასამთავრობოებიო, მაგრამ მისი ქცევიდან და გამონათქვამებიდან ეს "მესიჯი" გამოსჭვივის: ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ხელისუფლება უკვე ვართ, თქვენი საუკეთესო კადრებიც აქ გადმოვედით, ინგლისური და კომპიუტერი თქვენზე ნაკლებად არც ჩვენ ვიცით, ხალხი თქვენს უკან მაინც არ დგას. რაღა საჭირო ხართ?"** — საინტერესო მესიჯია. აქედან გამომდინარე დასკვნაც სამართლიანია. ჩავიჭყიტოთ სტატიის ბოლოში და ამ დასკვნასაც ვიპოვით: **"ადამიანები, ვინც შავისა და თეთრის გარდა სხვა ფერებს ვერ ხედავენ, საუკეთესო შემთხვევაში, ახალ რევოლუციებს მოახდენენ და ახალი სტილის ავტორიტარიზმებს შექმნიან"**.

ერთი სიტყვით, ტექსტის ძირითადი პათოსი შემდეგი ფრაზით გამოიხატება: დემოკრატიის ქადაგება არ ნიშნავს დემოკრატობას. ცამდე მართალია გია ნოდია, მით უმეტეს, რომ სტატიის ერთ ადგილას პირდაპირ ამბობს ამ ფრაზას. თუმცა ერთგული მკითხველი უკვე ხვდება, რომ მე ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის წარმოჩინებას ვცდილობ, უკვე მიტრიალებს თავში შესაბამისი იდეა, მაგრამ ჯერ მისი შემოყვანის საუკეთესო, ყველაზე ეფექტური ხერხისთვის ვერ მიმიგნია. მუსიკალურ ქსოვილში ყოველი დისონანსური ჰარმონია სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული. ამ მომზადებისთვის კი კვლავ სტატიის ტექსტს მივმართოთ და, იმედია, იქ აღმოვაჩენთ ნოტებს, რომლებზეც შეიძლება დავამყაროთ ჩვენი მოდულაცია.

ბევრი ძებნა არ დაგვჭირდება: გია ნოდია "ენჯიოშნიკების" საქმიანობას მისიონერთა მოღვაწეობას ადარებს. არის საღვთო წერილი (ადამიანის უფლებათა დეკლარაციები, კონვეცნიები და ქარტიები), არის კატეხიზმო (პოპულარულ ბროშურათა მთელი კორპუსი), არის მფარველი ანგელოზები (ფონდები, რომლებსაც მე უფრო ანგელოზებს კი არა, შუასაუკუნეობრივ ფეოდალებს, ქტიტორებს შევადარებდი), ხოლო თვით სამოქალაქო სექტორი შეიძლება შევადაროთ ეკლესიას, რადგან ის, **"იჩემებდა მონოპოლიას დემოკრატიული საღვთო წერილის სწორ ინტერპრეტაციაზე: ვინც მას არ ეთანხმებოდა, ან კორუმპირებული იყო, ან რეაქციონერი, ან დიქტატორი, ან უბირი და ა. შ."**. კვალიფიკაციათა მთელი ეს სპექტრი ადვილად გამოიხატება ერთადერთი სიტყვით: ვისაც "ენ-ჯი-ო"-ებისა არ სჯერა, ერეტიკოსია.

აქ კი უკვე გამოჩნდა ხერხი, რომლის საშუალებით ჩემი დიდი ხნის წინათ დაბადებული იდეა უკვე მკითხველისათვის გასაგებად და, რიტორიკის კანონებიდან გამომდინარე, ბუნებრივად იხილავს სინათლეს...

გია ნოდიას მიერ მოყვანილი შედარება შემთხვევითი კი არა, თემატური მეტაფორაა. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ანალოგია — აქ არსებითი მექანიზმი იმალება. მექანიზმი, რომლის საშუალებით ახალი იდეები ინერგება უცხო საზოგადოებრივ გარემოში. ოდესღაც, გასული საუკუნის ბოლოს, სადღაც გამოქვეყნებულ სტატიაში საქართველოს გადემოკრატიულება ესპანელების მიერ სამხრეთ ამერიკაში კათოლიციზმის შეტანას შევადარე. იმ დროს აცტეკები და ინკები უხალისოდ ეთაყვანებოდნენ ქრისტეს გამოსახულებას, მაგრამ ძალიან უყვარდათ ჯვარი. ახსნა მარტივია: ეს სიმბოლო უკვე არსებობდა მათ წინანდელ რელიგიაში.

ამავე მექანიზმზეა დამყარებული ქართული სამოქალაქო საზოგადოების მიერ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა აღქმის თავისებურებები. ვნახოთ, რა გვქონდა დემოკრატიამდელ "წარმართობაში" და რა სულიერი კაპიტალი მოიტანეს ახალ ეპოქაში ლიბერალიზმის აქ ხელდასხმულმა ქურუმებმა.

ჯერ ერთი, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ერთიერთი საზოგადოებრივი ელიტა. ელიტას კი თავისი ატრიბუტები ჰქონდა: მაღალი შემოსავალი (თავიდან, 1990-წლებში, საერთო ვითარებას რომ შევადაროთ, მართლაც ძალიან მაღალი იყო), მედია საშუალებების მხრიდან ყურადღება, საზოგადოებრივი პატივისცემის შარავანდედი. მაგრამ ყოველი ელიტა საქართველოში ერთი არსებითი თვისებით გამოირჩევა: საკუთარი "ელიტურობის" ძირითად მაჩვენებლად სახელისუფლებო წრეებთან სიახლოვეს განიხილავს. ამ გარემოების ყველაზე უფრო მკაფიო და კარიკატურული გამოვლინებაა საახალწლოდ ჩაწერილი დუეტები, სადაც შოუ-ელიტა "საკუთარ ტერიტორიაზე" მიკროფონთან და ჩამწერ სტუდიაში ხვდება ხელისუფლებას და ასე ამკვიდრებს საკუთარ თავს. სამოქალაქო საზოგადოების თვალსაზრისით კი მესამე სექტორად ის კი არ იწოდებოდა, ვინც, სიტყვაზე, მუხიანში მუხების დასარგავად გამართავდა აქციას, არამედ ის, ვინც, გია ნოდიას თქმისა არ იყოს, "ჟვანია-სააკაშვილთან" მეგობრობდა ან ხელისუფლებასთან სიახლოვეს მის უმაღლეს ეშელონებთან დაპირისპირებით გამოხატავდა.

ამგვარად, მესამე სექტორი, მიუხედავად ხელისუფლებასთან შესაძლო დაპირისპირებულობისა, საქართველოში მიღებული "ელიტურობის" წყალობით არსებითად მაინც ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და ადვილად იქცევა მის ინსტრუმენტად, იქნება ეს "ჟვანია-სააკაშვილთან" ნახსენები შეგნებული მეგობრობა, თუ შეუგნებელი საშუალება, რომლითაც შევარდნაძის რეჟიმი დასავლეთის წინაშე საკუთარ "დემოკრატიულობას" ამტკიცებდა.

ახლა კი სრულიად ბუნებრივია, რომ ახლანდელ ხელისუფლებას არც ამგვარი "მეგობარი" სჭირდება (ამაზე ზევით სადღა უნდა ახტეს ამ "მეგობრის" წყალობით?) და არც ინსტრუმენტი. ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი გასაგებია: ის ცდება, მაგრამ შეცდომა ხომ ეგზომ ბუნებრივია ადამიანისთვის! უფრო გაუგებარია ამგვარი ვითარების წინაშე აღმოჩენილი მესამე სექტორის დაბნეულობა. თუმცა ესეც გასაგებია: რა ქნას ქართულმა ელიტამ, თუ ხელისუფალმა ზურგი შეაქცია? ერთი მხრივ, არასამთავრობოთა "დაბნეულობა", რომლის შესახებ გია ნოდია წერს, ენათესავება ქართველი "მწერლებისა" და "მეცნიერების" საპროტესტო აქციებსა და სასამართლო პროცესებს.

საქმის არსი დღესავით ნათელია, მაგრამ აქ მაინც უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რატომ ცდება ხელისუფლება მესამე სექტორთან მიმართებაში? რაში მდგომარეობს მისი შეცდომა?

ამ შეკითხვას კი ვერ ვუპასუხებთ, თუ ჩვენს ნიადაგზე ახალ იდეათა დანერგვის კიდევ ერთ თავისებურებას არ შევეხებით. რამდენიმე წლის წინათ **ზურაბ ჭიაბერაშვილმა**, მაშინ ჯერ კიდევ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" რიგითმა წევრმა მითხრა: "ძველი ინტელიგენცია გადარეული რომ იყო კაფკაზე და სხვებზე, თანაც კარგად არც ესმოდა თვითონ — ვენაცვალე ამ ახალ თაობას, კითხულობენ "ჰიუმან რაითებს" და სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ ეგ კაფკა!". მეტ-ნაკლებად მსგავსი დამოკიდებულება საკაცობრიო მონაპოვართან იმდენად გავრცელებულია ქართულ "ენჯიოშნიკთა" შორის, რომ შეიძლება სიმპტომადაც ჩაითვალოს. ამგვარ დამოკიდებულებაში მხოლოდ ერთი რამაა მართალი: წინა თაობას მართლაც ბევრი არაფერი ესმოდა და მისი ინტელექტუალობა მხოლოდ ერთგვარ პიეტეტზე იყო დამოკიდებული: საქართველოში ძალიან ხშირად ურევენ ერთმანეთში მოწიწებასა და ცოდნას.

მაგრამ ახალგაზრდებმა, იმის მაგიერ, რომ პიეტეტისთვის კრიტიკული გაგება დაემატებინათ, მხოლოდ პიეტეტზე თქვეს უარი. მაშ რატომ უნდა ველოდოთ, რომ "ენ-ჯი-ო"-ებიდან ხელისუფლების დერეფნებში გადასახლებულებმა თან ავტორიტარიზმის გარდა ვერაფერი წაიღეს? მაპატიეთ ტავტოლოგიისთვის, მაგრამ დემოკრატიის სწავლა დემოკრატიის სწავლით შეუძლებელია: ეს ხომ არაა, მაგალითად, ფეოდალიზმი, რომელიც წესების შეიძლება ვრცელ, მაგრამ მაინც შეზღუდულ რაოდენობას ემყარება. დემოკრატია ცხოვრების რთულ, ვითარებათა და არჩევანთა მრავალგვარობით დატვირთულ წესს გულისხმობს და ამ სირთულეში გარკვევა შეუძლებელია "კატეხიზმოებით". აქ, უკაცრავად პასუხია და დემოკრატიის "საღვთო წერილიც" მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, ანუ მაშინაა ყველაზე ქმედითი, როცა საქმე ძალიანაა გაფუჭებული.

ჩვეულებრივ ვითარებაში კი (საქართველოში კი, მადლობა ღმერთს, რამდენიმე ნაბიჯით მივუახლოვდით ამ ჩვეულებრივ ვითარებას და, შევარდნაძისა არ იყოს, ამის არდანახვა არ შეიძლება) — ჩვეულებრივ ვითარებაში ვერც ერთი "მესამე სექტორი" ვერ დაიკავებს სათანადო ადგილს, თუ მასში წარმოდგენილი არ იქნება მძლავრი და ხარისხიანი ინტელექტუალური ძარღვი. სამწუხაროდ ჩვენში სულ სხვას გვიჩვენებს რეალობა: ხელისუფალთ და "ენჯიოშნიკებსაც" სიტყვა "კულტურის" გაგონებისას ერთნაირად მიუწევთ ხელი მაუზერისკენ, ახალგაზრდა "შემოქმედებითი ელიტის" შემადგენლობას კი ლიბერალური ღირებულებები მაშინ ახსენდება, როცა საქმე მათი რომელიმე წევრის ნათესავს ეხება.

ამგვარ გარემოებებში ნამდვილად არაა ადვილი, შევაგნებინოთ ხელისუფლებას, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი უკიდურესად მარტივია: მან თუნდაც იმიტომ უნდა უსმინოს "ენ-ჯი-ო"-ებს ამ შეცვლილ ვითარებაშიც, რომ საზოგადოება იქნეს დაცული — სხვა სიტყვებით კი, თავის გადასარჩენად...


## აშშ სელჩო თბილისში

**2006 წლის 21 იანვარს და 11 თებერვალს**
**აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.**

21 იანვარს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი, მოწყობილობები და ფაილის კარადები.**

11 თებერვალს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი და მოწყობილობები.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.
აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია**. ცნობებისათვის დარეკეთ: 277000 შიდა 7201.



## შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"

გაზეთ 24 სთ-ში 4 თებერვლის გამოცემაში გამოქვეყნებულ ავტომობილების ტენდერთან დაკავშირებული განცხადების დაზუსტების მიზნით აქვეყნებს დამატებით ინფორმაციას: ავტომობილების გამოშვების წლად შესაძლოა მისაღებად ჩაითვალოს 2001-2006 წელი.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადაა 2006 წ. 24 თებერვლის 18 საათამდე.

სატენდერო წინადადებების წარმოდგენა შეიძლება 2006 წ. 25 თებერვლიდან 27 თებერვლის 18 საათამდე.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "სასოფლო-სამეურნეო მანქანა დანადგარებით უზრუნველყოფა" ფარგლებში აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს მინიმუმ 70 ერთეული ტრაქტორის (80 და მეტი ცხ. ძ. კლასის, 4 WD) შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს DDP პირობით შემდეგ მისამართზე. მცხეთის რაიონი, სოფ. წეროვანი (ყოფ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საგამოცდო სადგური), არაუგვიანეს 2006 წლის 20 აპრილამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 მარტიდან 6 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 412.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის უძრავ-მოძრავ ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობსთან დაკავშირებით;

ვ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს (საჭიროების შემთხვევაში);

ზ) სატენდერო წინადადებასა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილ პირებზე გაცემულ მინდობილობას (საჭიროების შემთხვევაში);

თ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

5. ტენდერში მონაწილეობა დასაშვებია სუბ-კონტრაქტორების საშუალებით, რომლებზეც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადების მე-5 პუნქტში მითითებული შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

6. ტენდერში სუბ-კონტრაქტორებით მონაწილეობის შემთხვევაში, განცხადების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მათთან გაფორმებული განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებები, რომლებში გამოხატული უნდა იყოს სუბ-კონტრაქტორის თანხმობა, რომ მონაწილის მიერ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში იგი შესაბამის მომსახურებაზე ხელშეკრულებას გაუფორმებს მონაწილე პირს.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხოურმა ორგანიზაციებმა სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ კონკრეტული ქვეყნის შესაბამისი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4, მე-5 და მე-6, პუნქტში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტში დადგენილ მოთხოვნებს.

9. ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 7 თებერვლიდან 5 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 412.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სოფლის მეურნოების სამინისტრო, ს/კ 203843010, ან.N200122900, სახაზინო კოდი 3133.

11. ტენდერში სატენდერო წინადადებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 412. ტელ: (995 32) 99-92-40

**საქართველოს სოფლის მეურნოების სამინისტროს**
**სატენდერო კომისია**

ფეხბურთი

# ჩერნიშოვის კურთხევა პოლონურად

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამო" აგრძელებს საწვრთნელ შეკრებას კვიპროსის ქალაქ ნიქოზიაში. გუშინ ჩვენმა გუნდმა მეორე ამხანაგური სპარინგმატჩი გამართა. შეგახსენებთ, რომ "დინამომ" ასეთი შეხვედრა სამი დღის წინათაც ჩაატარა და უსახელო სერბეთის "რადისთან" (რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში მე-12 ადგილზეა) 0:2 დამარცხდა. ამჯერად "დინამოს" მეტოქე რანგითაც და კლასითაც "რადიზე" უკეთესი იყო - პოლონეთის ჩემპიონატში მე-3 პოზიციაზე მყოფი "კორონა".

წინა მატჩის მსგავსად, ანდრეი ჩერნიშოვმა ამჯერადაც ორი სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშა.

პირველი ტაიმი: გრიშიკაშვილი, ლობჟანიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ნავალოვსკი, ნოზაძე, ვიეირა, ამბროზიო, ბობოხიძე, დვალი, მელქაძე

მეორე ტაიმი: გრიშიკაშვილი, კაშია, თომაშვილი, ორბელაძე, აკობია, ა. კალაძე, მახარაძე, ჩირიკაშვილი, მერებაშვილი, კვიტაიშვილი, მელქაძე (იაშვილი, 70`)

შეხვედრა დაძაბულობის თვალსაზრისით ამხანაგური ხასიათის ნამდვილად არ აღმოჩნდა. პოლონელებმა "დინამოს" მსაჯის სასტარტო სასტვენისთანავე უხეში, ძალისმიერი და ხისტი თამაში შესთავაზეს. ხშირად უხეშობა ზღვარგადასულიც იყო, რის გამოც არბიტრს როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის ფეხბურთელთათვის არაერთხელ მოუხდა ყვითელი ბარათის ჩვენება. დინამოელებმა გამოწვევა მიიღეს და არც ამ ასპექტში ჩამორჩნენ მეტოქეს. ხოლო მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე აკობია რეფერიმ წითელი ბარათით გაისტუმრა მოედნიდან.

პირველმა ტაიმმა ძირითადად მოედნის ცენტრისთვის ბრძოლაში ჩაიარა. სახიფათო მომენტების სიმრავლე არც ერთი გუნდის კართან არ დაფიქსირებულა. პირველი ორმოცდახუთი წუთი ლოგიკური შედეგით - 0:0 დასრულდა. ძირითადი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა. ანგარიში პოლონელმა ფეხბურთელებმა "დინამოს" დაცვის უხეში შეცდომის წყალობით გახსნეს. არც "დინამო" დარჩენილა ვალში: მერებაშვილმა თანაფარდობა აღადგინა და მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა.

"ხისტი და უხეში თამაში გამოდგა. მოხარული ვარ, რომ ბიჭებმა შეასრულეს მატჩის წინ მთავარი მწვრთნელის მიერ მიცემული მითითებები და მეტოქეს არაფერი დაუთმეს. "დინამო" მოსამზადებელ შეკრებაზე იმყოფება, ამდენად, მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩერნიშოვის მთავარი მიზანია, გამოსცადოს შერებაზე წამოყვანილი ყველა ფეხბურთელი. ასე რომ, მატჩის შედეგით არც კმაყოფილი ვარ, არც უკმაყოფილო.

რაც შეეხებათ ბრაზილიელ ფეხბურთელებს, ვიეირას და ამბროზიოს, ჯერ ადრეა საუბარი მათთან კონტრაქტის გაფორმებაზე. შეკრებაზე გამომგზავრებამდე მათ გუნდის ხელმძღვანელობაზე და მწვრთნელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. კვიპროსზე ჩატარებულ ორ მატჩში კი ისე კარგად ვერ გამოიყურებიან. თუმცა, ეს სუბიექტური ფაქტორებითაც შეიძლება აიხსნას - მათთან დაკავშირებით საბოლოო აზრი ჯერ არ ჩამოგვყალიბებია და კონტრაქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას თბილისში მივიღებთ", - განუცხადა "24 საათს" სატელეფონო საუბარში "დინამოს" მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ.

რაგბი

# ღირსეული

## საქართველო - რუსეთი 46:19

კახა ფაჩუაშვილი

"ყველასთან რომ დავმარცხდეთ, რუსებს მაინც უნდა მოვუგოთ", - თამაშის წინ ამბობდნენ "ბორჯღალოსნები". ამბობდნენ და პირნათლადაც შეასრულეს დანაპირები. 10-ჯერ შეერკინენ ქართველები რუს "დათვებს" და ამ ათი ბრძოლიდან 8-ჯერ იმძლავრეს "ბორჯღალოსნებმა". თუმცა ეს ბოლო მაინც სასწაული გამოვიდა. რუსთა მსგავსი გვემა თბილისს ჯერ არ ახსოვს.

ამჯერად ძალიან დაჩაგრეს ჩვენებმა ჩრდილოელი მეზობელი. შერკინებაშიც, ხაზზეც, სისწრაფეშიც, ბრძოლის ჟინითაც და გამარჯვებაც სტუმრებზე მეტად სწყუროდათ მოგებას ჩვეულ ქართველ მორაგბეებს. არადა, გულმოდგინედ ემზადებოდნენ ქართველებთან მორიგი დაპირისპირებისთვის რუსები. სამხრეთ აფრიკაში სამი კვირა დაჰყვეს და ორი ტესტ-მატჩიც გამართეს, მაგრამ არაფერი ეშველათ. "როგორც ჩანს, ქართულ სინდრომს ვერასოდეს დავძლევთ", - მწარე სიმართლე აღიარა რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა და თბილისი კვლავ დამარცხებულმა დატოვა.

ქართული სინდრომის დაძლევა კი მართლა გაუჭირდებათ "დათვებს". ამჯერად რუსებს თბილისში უაღრესად მძიმე ატმოსფერო და გახელებული ქართველები დახვდათ, რამაც აშკარად დამთრგუნველად იმოქმედა ისედაც სუსტ მეტოქეზე. "ბორჯღალოსნები" ამჟამად საუკეთესო ფორმაში არიან და თან უძლიერესი შემადგენლობით ეწვივნენ თბილისს. 19 ლეგიონერი ირიცხება ქართველთა გუნდში, მაშინ როცა რუსეთის ნაკრების მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს. რუსეთის ჩემპიონატი კი, მოგეხსენებათ, საფრანგეთისას ვერ შეედრება. აქედანაც ნათელი იყო ჩვენი გუნდის უპირატესობა. ტაქტიკაც შესაფერისი შეარჩიეს ქართველებმა.



ბორჯღალოსნებმა რუსთა დაცვის ხაზი 6-ჯერ გაარღვიეს.

მოკლე, მძლავრი დარტყმებით უტევდნენ "ბორჯღალოსნები". უტევდნენ და მიარღვევდნენ რუსების დაცვას. ეს ტაქტიკა გამართლებული აღმოჩნდა, რადგან ქართული შერკინება თვალსაჩინოდ აღემატებოდა რუსებისას, სიძლიერესა და მარიფათიანობაში. სწორედ პერიოდული დარტყმებით გახდა შესაძლებელი რუსების ხაზის გარღვევა. ერთ ქართველს ოთხი რუსი ებღაუჭებოდა და, შესაბამისად, აშიშვლებდა ხაზს, საიდანაც იოლდებოდა დამაგვირგვინებელი შეტევების განხორციელება. ამგვარი სქემით სამი ლელო გაიტანეს ჩვენებურებმა. სამჯერ კი დემორალიზებული მეტოქის შეცდომით ისარგებლეს და საბოლოოდ გაანადგურეს კიდეც მეტოქე.

რაც დრო გადიოდა, ჩვენებს აზარტი ემატებოდათ. უფრო გახელებით უტევდნენ მეტოქეს. სადაც ერთი ქართველი გამოჩნდებოდა ბურთით ხელში, მყისვე ოთხი რუსი ებღაუჭებოდა მას, მაგრამ ქართველი მორაგბეები მაინც ფეხზე იდგნენ და შეტევას შეტევაზე ავითარებდნენ. მათ შემხედვარე ქომაგებს ალტაცების ოხვრა აღმოხდებოდათ ხოლმე.

"თურმე როგორი ბრძოლა შეგვძლებიაო", - ისმოდა აქეთ-იქიდან. "ეჰ! ფეხბურთელებსაც რომ ეს ჟინი მისცათ", - მსგავსი ფრაზები ხშირად ფარავდა ყურთასმენას "ბორჯღალოსანთა" გახელებული შეტევებისას. მე კი სულ უფრო ვრწმუნდებოდი მემატიანეთა მონათხრობში, როცა ისინი ქართველთა თავგანწირულ ბრძოლებს აღწერდნენ.

ასე იბრძოდნენ არაგველებიც - მტკიცედ, ხელაღებით, თავდაჯერებით და იმდენი მოახერხეს, რომ აღა მაჰმად ხანის კარავს მიადგნენ. გველისპირულებით დაერივნენ გუდამაყრელები სპარსელ მედროშეებს. დაერივნენ და აკაფეს კიდეც თავისი მბრძანებლის თვალწინ. დროშის ტარები მუხლებზე გადაიმტვრიეს, ლომისგერბიანი დროშა კი კბილებით დაფხრიწეს. შეძრწუნდა ამის შემხედვარე სპარსელთა საჭურისი მბრძანებელი. ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ძალა აგულიანებდა ამ ერთ მუჭა ქართველობას, რომ ურიცხვ მტერს ასეთი ჟინით ებრძოდა. კარავი მიატოვა ჩია სპარსმა, სარდალიც ქართველებს შეატოვა, ცხენს მოახტა, "ვისაც შაჰი უყვარს, მომყევითო", - შეჰკივლა შეძრწუნებულმა და ცხენით მტკვარში გადაეშვა...

"ბორჯღალოსნებიც" მოკლე, პერიოდული დარტყმებით უტევდნენ მეტოქეს. უტევდნენ, როგორც არაგველთა შთამომავლობას ეკადრებოდა და გაიმარჯვეს კიდეც. ექვსჯერ გაარღვიეს რუსთა დაცვის რედუტები ქართველებმა. ექვსჯერ დაამიწეს ბურთი მათი ჩათვლის მოედანში და სირცხვილნაჭამი უკან გაისტუმრეს ჩრდილოელი მეზობელი.

ახლა "ბორჯღალოსნებს" ურთულესი მატჩი მოელით რუმინეთში. რუმინეთის ნაკრები რუსეთისაზე აშკარად ძლიერია, ამიტომ მარტოოდენ შერკინების იმედზე ყოფნა ქართველებს ხეირიანს არაფერს შესძენს. სწორედ ამ მატჩში უნდა გამოჩნდეს ჩვენი გუნდის ღირსება და მისი ნამდვილი ძალა. "ბორჯღალოსნებმა" ისეთი რაგბი უნდა აჩვენონ, როგორიც ეკადრება მსოფლიო ჩემპიონატს.

**საქართველო:** ბარკალაია, ხამაშურიძე, მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე, ავქსენტი გიორგაძე, ზერაქაშვილი, ზედგინიძე, გორგოძე, ლაბაძე, ურუშაძე, უდესიანი.
**6 ლელო:** გიორგაძე, ჯიმშელაძე, მაჩხანელი, უდესიანი, გორგოძე, სამხარაძე.
**5 გარდასახვა:** 3 ურჯუკაშვილი, ჯიმშელაძე, სოხაძე.
**2 საჯარიმო:** ჯიმშელაძე, ურჯუკაშვილი.
**რუსეთი:** ხროკინი, რომაკი, პრიშჩეპენკო, ვოიტოვი, პანასენკო, კირილ კუშნარევი, გრაჩოვი, კორშუნოვი, იანუშკინი, იური კუშნარევი, გვოზდოვსკი, ტრიშინი, კუზინი, ნოვიკოვი, კლუჩნიკოვი.
**ლელო:** შეკაილოვი.
**გარდასახვა: ნოვიკოვი.**
**4 საჯარიმო:** ნოვიკოვი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 6 | 5 | 0 | 1 | +172 | 16 |
| **რუმინეთი** | 5 | 4 | 0 | 1 | +141 | 13 |
| **პორტუგალია** | 5 | 4 | 0 | 1 | +38 | 13 |
| **ჩეხეთი** | 7 | 3 | 0 | 4 | -56 | 13 |
| **რუსეთი** | 7 | 2 | 0 | 5 | +44 | 11 |
| **უკრაინა** | 6 | 0 | 0 | 6 | -339 | 6 |

ძიუდო

# სპორტის სასახლეშ კიმონო გაიხადა

გიგა გურასაშვილი

*ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირს, რომელსაც ბოლო წლებში A კატეგორიის სახელი ეწოდა, წლეულს კი მსოფლიო თასად გარდაიქმნა, საკუთარი ისტორიის მანძილზე არაერთი სახელოვანი ძიუდოისტისთვის უმასპინძლია. სპორტის სასახლეში შაბათს დაიწყო და კვირას დასრულდა თბილისის XXXIII მსოფლიო თასის გათამაშება ძიუდოში.*

წლევანდელი მსოფლიო თასი აშკარად ჯობდა ბოლო წლებში ჩატარებულ ასპარეზობებს. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა თქვა კიდეც, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ასეთი ძლიერი ძიუდოისტები თბილისში არ ჩამოუსლან, მაშინაც კი, როდესაც ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიები თამაშდებოდაო.

თბილისის ტატამზე იასპარეზეს აზერბაიჯანის, ესტონეთის, იაპონიის, ირანის, ისრაელის, იტალიის, კუბის, ლიტვის, მოლდოვის, რუსეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, სომხეთის, უკრაინის, ყაზახეთის წარმომადგენლებმა. პირველი დღე ქართველმა ძიუდოისტება ოქროს მედლების გარეშე დაასრულეს. გათამაშებული სამი წონითი კატეგორიიდან (60, 66, 73) ორში ფინალში ასაპარეზობის უფლება მოვიპვეთ, პირველში კი მხოლოდ ბრინჯაოსთვის ვიბრძოლეთ. მხოლოდ იმით თუ ვინუგეშებთ თავს, რომ ზაზა კედელაშვილი (66კგ.) და დავით მარგოშვილი (73კგ.) ფინალში იაპონელებთან დამარცხდნენ. რაც შეეხება 60 კგ წონას, მსოფლიო თასის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტორ ხერგიანმა ფრანგ მეტოქესთან ნახევარფინალი წააგო. თუმცა, როგორც მერე აღმოჩნდა, ხერგიანს მუხლი დაუშავებია.

საქართველოს ნაკრები, როგორც მასპინძელი, თითოეულ წონაში ოთხოთხი ძიუდოისტით ანუ სრული შემადგენლობით ასპარეზობდა, თუ არ ჩავთვლით ზურაბ ზვიადაურსა და დავით ქევხიშვილს, რომლებმაც ტრავმების გამო ვერ იჭიდავეს.

პირველი დღის წარუმატებლობის შემდეგ გამარჯვების ჯერიც დადგა. გრიგოლ მამრიკიშვილმა და დავით ცირეკიძემ მსოფლიო თასი მოიგეს. თუმცა, ცოტა გვანერვიულეს. მამრიკიშვილს სწრაფ და უხეშ კუბელ კარდენასთან ფიზიკურად აშკარად გაუჭირდა, ცირეკიძემ კი, რომელიც რუს ხაიბულაევს ხვდებოდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ხმის ჩახლეჩამდე აყვირა: კორპუსი უკან! ახლოს არ მიხვიდე! მანძილი დაიჭირე! ჭიდაობაში არ აყვე!.. ერთი სიტყვით, ცირეკიძემ საკმაოდ სახიფათო მეტოქეს შორიდან მანიპულირებით მოგების საშუალება არ მისცა. მოგვიანებით თქვა კიდეც, ტაქტიკით გავიმარჯვეო.

"მიუხედავად იმისა, რომ შაბათს ოქროს მედლების გარეშე დავრჩით, თითქმის ყველა შეხვედრა საჩემპიონო ორთაბრძოლას უდრიდა, - ტურნირის დამთავრების შემდეგ განაცხადა შოთა ხაბარელმა, - მართალი გითხრათ, მამრიკიშვილისგან ჩემპიონობას არ ველოდი. თუმცა, მჯეროდა, რომ სამეულში შევიდოდა. გამიმართლა



ცირეკიძე რუსს თავზე მოაჭდა.

ცირეკიძემ, რომლისგანაც მხოლოდ გამარჯვებას ველოდი. ერთადერთი, რაც გულში ხინჯად მრჩება, ისაა, რომ ნესტორ ხერგიანი უმედლოდ დარჩა. თუმცა, წარუმატებლობა ეპატიება. ფრანგ დრაგინთან ისეთი ტრავმა მიიღო, ვშიშობ, დიდი ხნით არ გამოაკლდეს ასპარეზობებს.

რაც შეეხება მთლიანად გუნდს, კმაყოფილი ვარ. ბევრი მათგანი კიდევ გამოსაცდელია, მერე კი ნაკრების ბირთვიც ჩამოყალიბდება. ერთი სიტყვით, ბევრმა გამიმართლა, თუმცა წინ კიდევ ბევრი სამუშაოა. მთავარია, რომ მიზანმიმართულად ვემზადებით". გუშინდელი ორთაბრძოლებიდან დასამახსოვრებელი იყო მძიმე წონის ფინალიც - იაპონელმა იოჰეი ტაკაიმ ესტონელი მარტინ პადარი რეკორდულ დროში - 14 წამში იპონზე დასცა.

**თბილისის XXXIII მსოფლიო თასი**

**60კგ. - 17 მონაწილე**
1. დიმიტრი რაგინი (საფრანგეთი)
2. ჰიროაკი ჰირაოკა (იაპონია)
3. არტურ სრაპიანი (სომხეთი)
3. ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო)

**66კგ. - 19 მონაწილე**
1. ჰოროიუკი აკიმოტო (იაპონია)
2. ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
3. მინდია ხომიზური (საქართველო)
3. იორდანის არენციბია (კუბა)

**73კგ. - 20 მონაწილე**
1. მასაჰირო ტაკამაცუ (იაპონია)
2. დავით მარგოშვილი (საქართველო)
3. ზაქარია მორადი (ირანი)
3. დმიტრი ოგუიენკო (რუსეთი)

**81კგ. - 23 მონაწილე**
1. გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)
2. ბოროტო კარდენასი (კუბა)
3. ანტონიო ჩიანო (იტალია)
3. ტაკაში ონო (იაპონია)

**90კგ. - 12 მონაწილე**
1. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)
2. ტაგირ ხაიბულაევი (რუსეთი)
3. მინდია ბოდაველი (საქართველო)
3. ხორხე ბენავიდესი (კუბა)

**100კგ. - 14 მონაწილე**
1. ტაკამასა ანაი (იაპონია)
2. როსტისლავ ლისი (ისრაელი)
3. ალექსეი ლედენევი (რუსეთი)
3. რევაზ ჩიკოიძე (საქართველო)

**მძიმე წონა**
1. იოჰეი ტაკაი (იაპონია)
2. მარტინ პადარი (ესტონეთი)
3. ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3. ვლადიმირ გალკინი (რუსეთი)


# განცხადება კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის

**საწყობითა და ტრანსპორტირებით მომსახურება, USAID-ის კავკასიის მისია**

USAID-ის კავკასიის მისიას თბილიში ესაჭიროება საწყობითა და ადგილობრივი გადაზიდვით მომსახურება ავეჯის, აღჭურვილობების, სათადარიგო მასალებისა და სხვასადხვა სახის ნივთებისათვის.

**მოთხოვნების ჩამონათვალი:**

საბაზისო მომსახურება უნდა მოიცავდეს/აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 700 კვ.მ. სუფთა, მშრალი საწყობისთვის განკუთვნილი ტერიტორია;
- 500 კვ.მ. ეზო ორი, 12 მეტრიანი კონტეინერისა და გარეთ დასამონტაჟებელი გენერატორების განსათავსებლად;
- 20-30 კვ.მ. საწყობისთვის განკუთვნილი ტერიტორია კლიმატის კონტროლირების შესაძლებლობით;
- 2000 კგ სიმძლავრის ჰიდრავლიკური ორკაპა ამწე;
- აშშ მთავრობის საწყობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მეურნეობის მართივს წესების შესაბამისად, პლასტიკური შესაფუთი მასალის ქონა რბილი გადასაკრავის მქონე ავეჯისთვის, როგორიცაა ტახტები და მატრასები;
- ყველა საწყობისთვის განკუთვნილი ტერიტორია უნდა იყოს დაცვის ქვეშ 24 საათი კვირაში 7 დღის განმავლობაში. საწყობებს უნდა გააჩნდეთ წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, და სატელეფონო ხაზი. ტელეფონი უნდა მუშაობდეს სამუშაო საათებში (ორშაბათი - პარასკევი 8:00-იდან 18:00-მდე) და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადაუდებელი შემთხვევებისას სამუშაო საათბის შემდეგ;
- ტერიტორია უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში, არ უნდა იყოს დამტვერილი და არ უნდა ეყაროს ნაგავი, გასასუფთავებელი სამუშაობეი სავარაუდოდ უნდა ჩატარდეს ყოველკვარტალურად;
- საწყობისთვის განკუთვნილი ტერიტორია უნდა იყოს დაზღვეული ყველა სავარაუდო საფრთხისგან, იქ შენახული საკუთრების საშუალო თანხიდან გამომდინარე (თანხა ღირებულების პროცენტის შესაბამისად);
- კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს შენახული ხანგრძლივი მოხმარების ინვენტარის სრული სია და პასუხისმგებელი იყოს აშშ ქონების დაკარგვის ან გაფუჭების შემთხვევაში;
- კონტრქტორს უნდა შეეძლოს ყოველდღიურად მიიღოს USAID-ის ქონება და აღნუსხოს ის მიღებული ინვენტარის სიაში USAID-ის წარმომადგენლეთან ერთად.

**სავარაუდო მომსახურება:**

1. 20 კვ.მ.-ის ავეჯის და აღჭურვილობის ტრანსპორტირება სატვირთო მანქანით და გადაზიდვა საჭიროებისამებრ. ანაზღაურება ადგილობრივი საათობრივი ტარიფის შესაბამისად.
2. მუშები დღის განმავლობაში საჭიროებისამებრ, დღიური ანაზღაურებით.
3. მომსახურების მიღება და ინსპექტირება USAID-ის ზედამხედველობის ქვეშ. ორგანიზება, სპეციალური დროებითი საწყობი (ისეთები როგორიცაა კონტეინერი ან ტრაილერი), რეკლამირება და სხვა დახმარება, რაც შეიძელბა საჭირო გახდეს საჯარო გაყიდვების/აუქციონების, მოწყობისას. ანაზღაურება საათობრივად, ან გაყიდული საკუთრების თანხის პროცენტული შესაბამისობით.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: სტაციონარული - 92 28 44, ხაზი 125; მობილური - 899 191 141. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 15 თებერვალი, სამუშაო დღის ბოლომდე. USAID ითხოვს დამოუკიდებელ პროცედურებს შენახვასთან, მუშა ხელის აყავანასა და ტრანსპორტირების ფუნქციებთან დაკავშირებით. პასუხები გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

სახელი: ფერნანდო კოსიჩი
USAID-ის კავკასიის მისია
ათონელის ქ. N25, თბილისი, საქართველო ელფოსტა: mmatkava@usaid.gov
llominadze@usaid.goiv , ფაქსი: (99532) 77-96-53



# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს გენერალური პროკურატურა (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N24) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საავტომობილო საწვავისა და გათბობის მიზნით დიზელის საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.**

**2.** შესასყიდი საქონლის სახეობა და რაოდენობა:

| ლოტი | საწვავის სახე | რ-ბა (ლიტრი) | მიწოდების სახე | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | დიზელი გათბობისათვის | 25000 | ტალონი | თბილისი, გორგასლის N24 |
| 2 | დიზელი გათბობისათვის | 5000 | სითხე | თბილისი, გორგასლის N24 |
| 3 | ბენზინი პრემიუმი | 580000 | ტალონი | თბილისი, გორგასლის N24 |

**3.** მიწოდება უნდა განხორციელდეს განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 27 თებერვლის 17 საათისა.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, მონაწილე პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს: ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

**7.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველმა პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 27 თებერვლის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900. სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N24. გენერალური პროკურატურა, მე-2 სართული, ოთახი N200.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან/და თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაბამისობაში არ იქნება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან.

**9.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

**10.** ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**11.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ლაშა ჯინჯიხაძე, ტელ: 93-24-85; 893 26-22-80. მისამართზე: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N24. გენერალური პროკურატურა, მე-2 სართული, ოთახი N200.

* უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ, საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან, შესაბამისი წესით დამოწმებული თარგმანით.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე

| რიგითი N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი N1 | 1290000კგ | ქ. თბილისის სასჯელაღსრულების დაწესებულებები<br>1. საპყრობილე N1<br>2. N5 ქალთა დაწესებულება<br>3. სამკურნალო დაწესებულება<br>4. არასრულწლოვანთა დაწესებულება<br>5. საპყრობილე N7<br>6. ქსნის ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება.<br>7. ქსნის N7 დაწესებულება<br>8. ავჭალის N10 დაწესებულება | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად მიწოდება დილით $8^{30}$სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღისათვის აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით. საპყრობილე N1-ში მიწოდება უნდა განხორციელდეს დილის 7 სთ. |
| 2 | პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი N2 | 366300კგ | ქ. რუსთავის სასჯელაღსრუელბის დაწესებულებები<br>1. რუსთავის N1 დაწესებულება<br>2. რუსთავის N1 დაწესებულება<br>3. რუსთავის N6 საპყრობილე | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად მიწოდება დილით $8^{30}$სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღისთვის აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით |
| 3 | პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი N3 | 457900კგ | ქ. ქუთაისის და გეგუთის რაიონის სასჯელაღსრულების დაწესებულებები<br>1. ქუთაისის N2 საპყრობილე<br>2. გეგუთის N8 დაწესებულება<br>3. ხონის N9 დაწესებულება | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად მიწოდება დილით $8^{30}$სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღისთვის აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით. |
| 4 | გაყინული თევზი სკუმბრია ლოტი N4 | 40000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით მომწოდებლის კუთვნილი სამაცივრო ბაზიდან | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 5. | კარტოფილი ლოტი N5 | 360000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 30 ივნისის ჩათვლით, ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 6. | კარტოფილი ლოტი N6 | 270000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 ივლისიდან 30 სექტემბერის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 7. | კარტოფილი ლოტი N7 | 270000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით. |
| 8. | ქათმის ბარკალი (გაყინული) ლოტი N8 | 35000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 9. | საქონლის ხორცის კონსერვი ლოტი N9 | 5000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 10. | ბარდა ლოტი N10 | 95000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 11 | ფეტვი ლოტი N11 | 95000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 12 | კომბოსტო ლოტი N12 | 120000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 30 ივნისის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 13 | კომბოსტო ლოტი N13 | 90000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | O1 ივლისიდან 30 სექტემბერის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 14 | კომბოსტო ლოტი N14 | 90000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით. |
| 15. | მაკარონის ნაწარმი ლოტი N15 | 65000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 16 | მცენარეული ზეთი რაფინირებული ლოტი N16 | 35000 ლიტრი | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 17 | ხახვი ლოტი N17 | 25000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 ილისის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 18 | ხახვი ლოტი N18 | 25000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში | 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 19 | ჭარხალი ლოტი N19 | 25000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 ივლისის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 20 | ჭარხალიAL ლოტი N20 | 25000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 21 | სტაფილო ლოტი N21 | 25000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 ივლისის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 22. | ლოტი N22 სტაფილო | 25000კგ | სასჯელაარსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 23 | ცხიმი ლოტი N23 | 45000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 24 | ტომატ-პასტა ლოტი N24 | 7000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 25 | მარილი ლოტი N25 | 2000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 26 | შაქარი ლოტი N26 | 15000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 27 | მწვანილი ლოტი N27 | 8000კგ | სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებები | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 28 | ლიმონი ლოტი N28 | 20 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 29 | ვაშლი ლოტი N29 | 80 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 30 | მსხალი ლოტი N30 | 50 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 31 | კივი ლოტი N31 | 20 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 32 | ატამი ლოტი N32 | 40 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 33 | ბანანი ლოტი N33 | 40 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 34 | გამაგრილებელი გაზიანი სასმელი ლოტი N34 | 1250 ლ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 35 | მინერალური წყალი ლოტი N35 | 1250 ლ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 36 | ქარხნული წარმოების წყაროს წყალი ლოტი N36 | 1000 ლ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 37 | ხსნადი ყავა ლოტი N37 | 4 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 38 | ჩაი პაკეტებში (მაღალი კლასის) ლოტი N38 | 4 კგ | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 39 | ნამცხვარი (ჩაისათვის, "პეჩენიე") ლოტი N39 | 50 კოლოფი | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 40 | ორცხობილა დიეტური ლოტი N40 | 50 კოლოფი | იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საწყობი | 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **არა უგვიანეს 2006 წ. 27 თებერვალი 18 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), რუსთაველის გმზ. N30, ოთახი N97-98 ტელ. 758285 ან 758291.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

. 1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი N97ა, იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს, მოთხოვნისთანავე გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გოჩა ბიკაშვილს **ტელეფონის ნომერი - 75-82-85, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 98.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

---

**შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი,** საზღვარგარეთ მშენებლობის წარმოების ბიურო (OBO) აცხადებს ფირმებისათვის წინა საკვალიფიკაციო კონკურსს პროექტირებისა და მშენებლობის მომსახურების გასაწევად სტანდარტული საელჩოს პროექტის (SED) ახალი დამატებითი (NOX) შენობის პროექტისთვის. პროექტი მოიცავს საქართველოში, თბილისში შეერთებული შტატების მთავრობის სხვადასხვა სააგენტოების გასანთავსებელი შენობის პროექტირებასა და მშენებლობას. ქვემოთ მოცემულია პროექტის აღწერილობა. პროექტი ითვალისწინებს ახალი, დამატებითი შენობის მშენებლობას შეერთებული შტატების საელჩოს კუთვნილ ტერიტორიაზე.

SALMEC-06-R0007: თბილისი, საქართველო, ახალი დამატებითი შენობა USAID-ისთვის (შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო), ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 5,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ახალი დამატებითი შენობის ფართობი: 3,700 კვადრატული მეტრი; პროექტირება-მშენებლობის დადგენილი ღირებულება: 10 დან 15 მილიონამდე აშშ. $.

პროექტის მოთხოვნა მოიცავს ორ ფაზას. მოცემული წინა-საკვალიფიკაციო განაცხადის შემოტანა წარმოადგენს I ფაზას. სახელმწიფო დეპარტამენტი შეაფასებს და შეარჩევს წინა საკვალიფიკაციო განაცხადებს იმ შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია დადგენილ შეფასების ფაქტორებში/პირობებში. ის ფირმები, რომლებიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელ შეფასებას ტექნიკური საბჭოსგან, მიიღებენ ოფიციალურ მოთხოვნას (წინადადების მოთხოვნას) და მათ II ფაზაში შესთავაზებენ წარმოადგინონ მათი მომსახურების ღირებულების კალკულაცია. შეერთებული შტატების მთავრობა იტოვებს უფლებას არ გაატაროს წინა საკვალიფიკაციო ეტაპი იმ ფირმებს, რომლებიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელზე ნაკლებ შეფასებას შეფასების რომელიმე ფაქტორსა, თუ ქვე-ფაქტორში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და წინა საკვალიფიკაციო პაკეტის შინაარსთან და განაცხადების შემოტანასთან დაკავშირებით, გთხოვთ გადახედოთ დოკუმენტს, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებ. გვერდზე: http://www.eps.gov/.

დააჭირეთ "Vendors" (მომწოდებლები)—აკრონიმებში "Acronims" ჩამოშალეთ მენიუ, შემდეგ დააჭირეთ "State"-ს. სიაში, რომელიც მოცემულია "*Office of Logistics Management*" (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯმენტის ოფისის) მარჯვნივ დააჭირეთ "*Posted Dates*" (გამოქვეყნების თარიღებ-ს). ჩვენი დოკუმენტი გამოქვეყნდა 2006 წლის 2 თებერვალს და დასათაურებულია შემდეგნაირად: "*2006 Design-Build Standard Design Separate Announcement for ANNEX BUILDING Projects ONLY*" (2006 წლის საპროექტო-სამშენებლო სტანდარტული პროექტირების კონკრეტული განაცხადი მხოლოდ დამატებითი შენობების პროექტებისათვის).

ჩვენ გვესაჭიროება სრული პაკეტი, რომელშიც ასახული იქნება სათანადო ინფორმაცია, აღნიშნული შეფასების ფაქტორების შესაბამისად. შეფასების თითოეულ ფაქტორში ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ ფრაზაზე: "*the government will evaluate*... (მთავრობა შეაფასებს...). დარწმუნდით, რომ მოგვაწოდეთ ყველა ის მონაცემი, რომელიც ასახავს თითოეულ იმ ფაქტორს, რაც ჩვენ უნდა შევაფასოთ.

**შეკითხვები განმარტებისათვის** წერილობითი სახით უნდა გაუგზავნოთ დავით ვივიანს/დონა ნიილს (David Vivian/Donna Neal) ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე: VivianDW@state.gov და NealDK@state.gov, ან ფაქსის მეშვეობით შემდეგ ნომერზე: (703) 875-6699.

ყველა განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 21 თებერვლის 15:00 საათამდე.

განაცხადების გამოგზავნა: ფირმებს ვურჩევთ განაცხადები გამოაგზავნონ შემდეგი საფოსტო სამსახურების მეშვეობით (DedEx, UPS Express Mail, DHL და ა.შ.) შემდეგ მისამართზე: (არ გამოიყენოთ აშშ.-საფოსტო სამსახურის (PO Box) მისამართი)

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი:
კერძოდ: დავით ვივიანს/ დონა ნიილს
A/LM/AQM/FDCD/CON);
VA 22209, აშშ, არლინგტონი, N
North Fort Myer Drive 1701,
ოთახი L-600, SA-6.
U.S. Department of State: Attn: David Vivian/Donna Neal
A/LM/AQM/FDCD/CON, Room L-600, SA-6
1701 North Fort Myer Drive
Arlington, VA 22209 USA

---

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი; მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347; საიდენტიფიკაციო N 245383678, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ან ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 27 თებერვალი.

| დასახელება | | | განზომილება | რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|
| საწვავი | A-92 | ბენზინი | ლიტრი | 26 687 | საერთო |
| საწვავი | A-98 | ბენზინი | ლიტრი | 12 493 | საერთო |
| საწვავი | | დიზელის საწვავი | ლიტრი | 497 900 | საერთო |
| | | | სულ | 537 080 | |

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი გოგებაშვილის N11

დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.

საქონლის მიწოდება განხორციელდება 4 (ოთხი) ეტაპად შესაბამისი კვარტლების მიხედვით, ამასთან პირველი ეტაპის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (დღის) განმავლობაში. საქონლის მოწოდების გრაფიკი დეტალურად ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

Pპრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ბენზინის ტალონური სისტემის შესაბამისად მოწოდება, ხოლო დიზელის მოწოდება შესაძლებელია როგორც სარკინიგზო, ისე ავტოცისტერნებით.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ან ინგლისურ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 თებერვლიდან 1 მარტის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, რეაბილიტაციის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
- ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში თუ ხელისმომწერი არ არის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სატენდერო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

Pპრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის წარმოშობისა და ხარისხის სერტიფიკატი, საქონლის ნიმუში და ლაბორატორიული დასკვნა ნიმუშის შესახებ.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს ან ეს მონაცემები ყალბი აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ლაშა ცეცხლაძე მობ; 899 20 27 95 ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" ფინანსური განყოფილება.

**სატენდერო კომისია**

www.liberty.ge

# თავისუფლება

N 15

6 თებერვალი, ორშაბათი

„თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო ჩანართი

## უმაღლესი სასწავლებლების მოდელური ეთიკის კოდექსი

*ნიმუში*

### I. პრეამბულა

უნივერსიტეტი წარმოადგენს აკადემიური კვლევისა და შემოქმედებითი სწავლების ცენტრს. უნივერსიტეტის ძირითად მიზანია ცოდნის ამაღლება სწავლებისა და კვლევის გზით და ეკონომიკურად განვითარებული და კულტურულად მრავალფეროვანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის საქმიანობა ხუთ ძირითად ღირებულებას ეფუძნება: საგანმანათლებლო მომსახურების მაღალ ხარისხს, აკადემიურ თავისუფლებას, სამართლიანობას, ანგარიშვალდებულებასა და კეთილსინდისიერებას.

უნივერსიტეტის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა სწავლებაში, სწავლასა და აკადემიურ კვლევაში, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ დაინტერესებული პირების აკადემიური მიზნების რეალიზებას კვლევის, სწავლისა და სწავლების პროცესში. ამასთანავე, ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ აზრის გამოხატვის თავისუფლება და ხელი შევუწყოთ კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

უნივერსიტეტის საქმიანობა უნდა ემყარებოდეს კეთილსინდისიერებას, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

სამართლიანობა უნივერსიტეტისთვის ნიშნავს თითოეული პიროვნების ღირსების პატივისცემას, სამართლიან და მიუკერძოებელ მოპყრობას უნივერსიტეტის საზოგადოების თითოეული წევრისადმი. სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს ემყარება უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროცედურა და წესი.

დაბოლოს, ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი პრინციპია მისი ცხოვრების ყველა სფეროში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის საზოგადოების წინაშე დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვან შესრულებაზე. სტუდენტები ვალდებულნი არიან, შეასრულონ ის მოვალეობები, რომლებიც მათ დაეკისრათ უნივერსიტეტში მიღებისთანავე.

უნივერსიტეტი ცნობს თავის ვალდებულებას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, საჯარო ხელისუფლების, პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების, ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე. უნივერსიტეტის მთავარი მისიისა და ღირებულებების მხარდაჭერა და რეალიზება მისი წარმატებისა და მდგრადობის ძირითადი წინაპირობაა.

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მაღალი ეთიკური სტანდარტებითა და პრინციპებით თავისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები ვალდებულნი არიან, ეთიკური პრინციპების შესაბამისად იმოქმედონ. უნივერსიტეტი ადეკვატურ ზომებს მიიღებს ნებისმიერი არაეთიკური ქმედების წინააღმდეგ. უნივერსიტეტი რეგულარულ მონიტორინგს განახორციელებს ეთიკის კოდექსის შესრულებაზე, ხოლო მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს უნივერსიტეტში არსებული ეთიკური გარემოს შეფასებით ანგარიშებს.

### II. ეთიკის კოდექსის დანიშნულება და გამოყენება

**1**. მოცემული ეთიკის კოდექსი:

- აღწერს უნივერსიტეტის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს;
- ადგენს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ქცევის სტანდარტებს უნივერსიტეტის ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებისთვის შესაძლო ეთიკური დილემის მოგვარების მიზნით;
- განკუთვნილია როგორც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტებისათვის და ვრცელდება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროზე.

**2**. ეთიკის კოდექსის გამოყენება:

- ეთიკის კოდექსი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ მიღებულ სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად. იგი რეგულარულად განახლდება;
- ეთიკის კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკური პრობლემის გადაჭრის გზებს, არამედ მიზნად ისახავს სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებას, რომელთა მეშვეობითაც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები შეძლებენ, იმოქმედონ ეთიკური სტანდარტების შესაბამისად;
- ეთიკის კოდექსი შემუშავებულია უნივერსიტეტში არსებული ეთიკის კომიტეტის მიერ უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციებისა და აზრთა გაცვლის საფუძველზე.

### III. ეთიკის პრინციპები და სტანდარტები

### აკადემიური პერსონალი

**1)** სტუდენტები და სწავლება

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა მთავარი მოვალეობაა, გაავრცელონ ცოდნა სწავლებისა და კვლევის საშუალებით. ისინი ვალდებულნი არიან, მიიღონ აუცილებელი ზომები აკადემიური პროფესიონალიზმის დახვეწისა და სრულყოფისათვის.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს მაღალაკადემიურ და ეთიკურ სტანდარტებს. ისინი ვალდებულნი არიან, ჯეროვან დონეზე მოემზადონ თითოეული ლექციისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და პოტენციალი.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა უნდა შექმნან ყველა საჭირო პირობა პატიოსნების პრინციპზე დამყარებული აკადემიური გარემოს ფორმირებისათვის. მათ უნდა შეიმუშაონ სწავლების ისეთი მეთოდები, საშინაო დავალებისა და შეფასების ისეთი სისტემა, რომლებიც წაახალისებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას. აკადემიური პერსონალის მოვალეობაა, არა მარტო გამოავლინოს პლაგიატისა თუ აკადემიური სიყალბის სხვა შემთხვევები, არამედ გამოიკვლიოს მათი მიზეზები და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად.
- აკადემიური პერსონალის ვალდებულებაა, დაიცვას სტუდენტების აკადემიური თავისუფლება.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ სტუდენტებსა და თავიანთ შორის აზრთა თავისუფალ გაცვლას. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ სწავლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად ხშირად წარსულში არსებული ღირებულებებისა თუ წარმოდგენების შეცვლაა საჭირო. ამიტომ პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წარმოქმნილი პრობლემები ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით მოგვარდეს.
- პროფესორ-მასწავლებლები ვალდებულნი არიან, პატივისცემით მოეპყრან სტუდენტებს და გაუწიონ მათ აკადემიური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობა.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს ლექციების დროული დაწყება და დამთავრება, არ უნდა დაუშვას ლექციის გაცდენა სერიოზული მიზეზების არსებობის გარეშე.
- აკადემიურმა პერსონალმა საჯაროდ უნდა გამოაკრას სამუშაო და მიღების საათები სტუდენტებისათვის. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტების მიღება მიღების საათების შემდეგაც.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა პერიოდულად უნდა განაახლონ სალექციო კურსის თემატიკა და სტრუქტურა შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესატყვისად.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა მუდმივად უნდა სრულყონ სალექციო კურსის წარმართვის მეთოდები.
- აკადემიური პერსონალი ვალდებულია, სასწავლო პროცესი წარმართოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
- სტუდენტების შეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა იმოქმედონ. სტუდენტის ცოდნის შეფასება მის აკადემიურ მოსწრებას უნდა ემყარებოდეს და არა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, დისციპლინა, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა სტუდენტებს ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ შეფასების სისტემის შესახებ.
- დაუშვებელია აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების მიერ რომელიმე სტუდენტის ან სტუდენტთა გარკვეული ჯგუფის ჩაყენება ხელსაყრელ ან პრივილეგირებულ მდგომარეობაში სხვებთან შედარებით.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა უზრუნველყონ სტუდენტების მიღების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და თანმიმდევრულობა. სტუდენტების შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ მათი მიღწევებისა და შესაძლებლობების საფუძველზე.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გაამჟღავნონ თავიანთი ხელთ არსებული ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრების, პირადი ცხოვრების, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების შესახებ, აგრეთვე სხვა პერსონალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ლეგიტიმური მიზეზი არსებობს.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გამოიყენონ სტუდენტების შესაძლებლობები პირადი გამორჩენის მიზნით, ან არ უნდა მიითვისონ სტუდენტის ნამუშევარი.
- დაუშვებელია აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების მიერ სტუდენტების დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის საფუძველზე ან სხვა ნიშნით.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა თავიდან უნდა აიცილონ სტუდენტებთან ისეთი ფორმის ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომელიც: ა) საფრთხეს შეუქმნის ლექტორის მიერ სტუდენტის ობიექტურად და სამართლიანად შეფასებას; ბ) სტუდენტს პირადი კონფლიქტის ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად აქცევს.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი უნდა შეეცადოს, არ დაამყაროს ინტიმური ურთიერთობა სტუდენტთან. თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, ლექტორი ვალდებულია, ამის შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის ხელმძღვანელს აცნობოს. ლექტორმა და ფაკულტეტის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს ურთიერთობა ფავორიტიზმში არ გადაიზარდოს.

**2)** პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ საკუთარი დრო და ენერგია აკადემიური პროფესიონალიზმის ასამაღლებლად.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების აკადემიური საქმიანობა უნდა ემყარებოდეს პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა დააკნინონ უნივერსიტეტის სხვა პროგრამებისა თუ სალექციო კურსის მნიშვნელობა სტუდენტების თანდასწრებით.

**3)** კოლეგებთან ურთიერთობა

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ და დაიცვან კოლეგების აკადემიური თავისუფლება.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები პატივისცემით და სამართლიანად უნდა მოეპყრან კოლეგებს.

## ეთიკის კოდექსი უმაღლეს სასწავლებლებში

ეთიკის კოდექსი მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, თუმცა უნივერსიტეტის განსაკუთრებული როლი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და დანერგვას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ყოვლისმომცველ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს და განსაზღვრავს ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების ქცევის წესებსა და სტანდარტებს. ქცევის წესები და სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს და უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ეთიკის კოდექსის შემუშავება და დანერგვა. უპირველეს ყოვლისა, ეთიკის კოდექსი საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, კარგად გაიაზროს უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები და მიზნები, აგრეთვე მათი მიღწევისათვის აუცილებელი ქცევის წესები და სტანდარტები. უნივერსიტეტს, თავის მხრივ, ეძლევა საშუალება, აღკვეთოს არაეთიკური ქცევის ყოველი შემთხვევა თავისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

არსებობს შეხედულება, რომ ეთიკის კოდექსის შემუშავება და დანერგვა აუცილებელი არ არის, რადგან უნივერსიტეტის მისია და ღირებულებები ყველასთვის ცხადია, რაც თავისთავად გულისხმობს მათი დაცვის ვალდებულებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებების არსებობა და აღიარება აბსტრაქციაში ვერ ქმნის პრაქტიკაში მათი რეალიზების გარანტიას თანამედროვე უნივერსიტეტის მრავალფეროვანი და კომპლექსური ცხოვრების გათვალისწინებით. ეთიკის კოდექსი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებების ასახვას მისი ცხოვრების მარეგულირებელ ქცევის კონკრეტულ წესებსა და სტანდარტებში. გარდა ამისა, ვინაიდან თანამედროვე უნივერსიტეტი მრავალფეროვანი და მრავალკულტურული დაწესებულებაა, მცდარია მოსაზრება, რომ მისი თითოეული წარმომადგენელი აბსოლუტურად იდენტურ ღირებულებებსა და ფასეულობებს იზიარებს. ეთიკის კოდექსი ასახავს უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული პირის შეჯერებულ პოზიციას უნივერსიტეტში ეთიკური გარემოს ფორმირების გზებსა და საშუალებებზე.

ამდენად, ეთიკის კოდექსის შემუშავება და დამკვიდრება უნივერსიტეტში ეთიკის პრინციპების დანერგვისა და კორუფციული გარემოს აღმოფხვრის ეფექტური საშუალებაა. არ არსებობს ეთიკის კოდექსის უნივერსალური მოდელი, ვინაიდან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი განსხვავებულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას, თითოეული თავისებური სტრუქტურული მოწყობითა და განსაკუთრებული საჭიროებებით ხასიათდება.

გთავაზობთ უნივერსიტეტის მოდელურ ეთიკის კოდექსს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის დახმარების აღმოჩენას ეთიკის კოდექსის შემუშავების პროცესში. მოდელური ეთიკის კოდექსი შემუშავდა თავისუფლების ინსტიტუტის მიერ პროექტის „სახელმწიფო უნივერსიტეტი კორუფციის გარეშე" ფარგლებში, რომელიც ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასონ კოლეგის ნამუშევარი და თავი შეიკავონ მცდარი და უსაფუძვლო შეფასებებისგან.
- აკადემიური პერსონალის ურთიერთკრიტიკა ყოველთვის კონსტრუქციული უნდა იყოს.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა არ უნდა გაამჟღავნოს უნივერსიტეტში მოღვაწეობისას (მაგალითად, საჩივრების კომისიაში მონაწილეობისას) მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია რომელიმე კოლეგის შესახებ.
- დაუშვებელია აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის მხრიდან კოლეგებისა და სტუდენტების შეურაცხყოფა ან დამცირება, აგრეთვე მუქარა.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა არ შეიძლება არასწორად ან არასრულად წარმოაჩინოს კოლეგის შეხედულება საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილონ უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ კოლეგებს პროფესიული განვითარების პროცესში.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა კოლეგების ან სხვა მეცნიერების შეხედულებები შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ შესაბამისი ციტირებით, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს არა აქვს უფლება, მიიღოს და განიხილოს სტუდენტების მიერ მისი რომელიმე კოლეგის კრიტიკა. ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოუწოდოს სტუდენტებს, მიმართონ უშუალოდ კრიტიკის ობიექტს ან ფაკულტეტის დეკანს.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გააკეთონ უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა შეურაცხყონ ან ანონიმურად დაადანაშაულონ კოლეგები. საჩივრის არსებობის შემთხვევაში მათ უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს უნდა მიმართონ.

**4)** ადმინისტრაციულ პერსონალთან ურთიერთობა

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები პატივისცემით და სამართლიანად უნდა მოეპყრან ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს და მათ საქმიანობას უნივერსიტეტში.
- აკადემიური პერსონალის მხრიდან დაუშვებელია ადმინისტრაციული პერსონალის დისკრიმინაცია.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გამოიყენონ ადმინისტრაციის წარმომადგენლები პირადი გამორჩენის მიზნით, აგრეთვე ერთად შესრულებული სამუშაო არ უნდა წარმოაჩინონ მხოლოდ საკუთარ ნამუშევრად.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა თავიანთი ქმედებით არ უნდა დააყენონ ადმინისტრაციული პერსონალი ეთიკური დილემის წინაშე (მაგალითად, არ უნდა სთხოვონ ადმინისტრაციას, არ გაამჟღავნონ მათ მიერ ლექციის გაცდენის ფაქტი, ან მოსთხოვონ უნივერსიტეტის კონფიდენციალური მასალების მათთვის მიწოდება/გაცნობა).

**5)** უნივერსიტეტი და აკადემიური პერსონალი

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ვალდებულნი არიან, მიიღონ აუცილებელი ზომები აკადემიური და პედაგოგიური პერსონალიზმის ასამაღლებლად.
- გარდა პედაგოგიური მოვალეობებისა, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ეკისრებათ მოვალეობები უნივერსიტეტის წინაშე. ისინი ვალდებულნი არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის ცხოვრებაში (უნივერსიტეტის სხვადასხვა დონეზე არსებულ კომიტეტებში და ორგანიზაციებში მუშაობითა და მონაწილეობით, იმ პირობით, რომ ეს ხელს არ შეუშლის მათ ძირითად მოვალეობებს და არ აღემატება მათ პიროვნულ და პროფესიულ შესაძლებლობებს).
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესები და პროცედურები. გარდა ამისა, აკადემიურმა პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს ისეთი რეფორმების ინიცირებასა და განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ისეთი ვალდებულებების აღებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის მათ მიერ საუნივერსიტეტო მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.
- აკადემიურმა პერსონალმა ჯეროვნად და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები. უნივერსიტეტის მიერ ანაზღაურებული დრო, მისი ფიზიკური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ლეგიტიმური საგანმანათლებლო ან ორგანიზაციული მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ნებართვა არსებობს.
- აკადემიური პერსონალი სამართლიანად, თანასწორად და პატივისცემით უნდა მოეპყრას უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს თუ სტუდენტს. მათი მხრიდან დაუშვებელია რომელიმე თანამშრომლის ან სტუდენტის ექსპლუატაცია ან დისკრიმინაცია.
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა დროულად უნდა აცნობოს უნივერსიტეტს სამსახურის მოსალოდნელი დატოვების შესახებ.

ადმინისტრაციული პერსონალი

**1**. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შექმნას ცოდნის მიღებისა და პროფესიული განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო და პირობები უნივერსიტეტში.

**2**. ადმინისტრაციული პერსონალი უნივერსიტეტს, მის თანამშრომლებსა და სტუდენტებს უნდა მოეპყრას პატივისცემითა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

**3**. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში უნივერსიტეტის იმიჯის განმტკიცებას.

**4**. ადმინისტრაციულმა პერსონალმა მუშაობის დროს უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობებისა და გარემოს შექმნა როგორც საკუთარი, ასევე თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

**5**. უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა აღკვეთოს ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური კუთვნილების, სქესისა და ასაკის გამო თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაცია.

6. ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დაემორჩილოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მარეგულირებელ წესებსა და პროცედურებს და შესაბამის კანონმდებლობას.

7. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

8. ადმინისტრაციულ პერსონალს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საქმიანობაში, რომლიდანაც მას ან მისი ოჯახის წევრს პირადი სარგებელი აქვს. აღნიშნული შემთხვევა კლასიფიცირდება, როგორც ინტერესთა კონფლიქტი და თავიდანვე უნდა აღიკვეთოს.

9. ადმინისტარციული პერსონალის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, მიიღოს საჩუქარი ან თანხა უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან, უნივერსიტეტის ბიზნეს-პარტნიორებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირებისაგან მათთვის პირადი სარგებლის სანაცვლოდ.

10. ადმინისტრაციულმა პერსონალმა ჯეროვნად და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები. უნივერსიტეტის მიერ ანაზღაურებული დრო, მისი ფიზიკური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ლეგიტიმური საგანმანათლებლო და ორგანიზაციული მიზნებისათვის.

**11**. ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის არსებული სამსახურებრივი ურთიერთობები პროფესიონალური და ეთიკური უნდა იყოს. მიუღებელია ანონიმური წერილები, უსაფუძვლო განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურებრივი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების შესახებ.

**12**. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა არ უნდა გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ლეგიტიმური საჭიროება არსებობს.

სტუდენტები

**1**. სტუდენტები ვალდებულნი არიან, ისწავლონ, ჩაატარონ კვლევა, დაიცვან უნივერსიტეტში არსებული ეთიკის სტანდარტები.

**2**. სტუდენტებს არ აქვთ უფლება, მიმართონ შეურაცხყოფას ან ძალადობას (სექსუალურს, ფიზიკურს, სიტყვიერს) სხვა სტუდენტებისადმი. ისინი პატივისცემით და სამართლიანად უნდა მოეპყრან ერთმანეთს.

**3**. სტუდენტებს არ აქვთ უფლება, პირადი სარგებლის სანაცვლოდ სხვა სტუდენტებს, ადმინისტრაციული ან აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შესთავაზონ რაიმე სახის მატერიალური ან არამატერიალური სარგებელი.

**4**. სტუდენტებს არ აქვთ უფლება, ჩაიდინონ ისეთი ქმედება, რაც აკადემიურ სიყალბეს წარმოადგენს. მაგალითად:

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება გამოცდების დროს გადაიწერონ სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოიყენონ რაიმე სხვა დამხმარე მასალა (წიგნები, კონსპექტები, კალკულატორი, ერთმანეთთან საუბარი და სხვა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ლექტორის ნებართვა ამა თუ იმ დამხმარე მასალის გამოყენების შესახებ.

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება, სხვა სტუდენტის მაგივრად ჩააბარონ გამოცდა, ან სთხოვონ სხვა პირს მათ მაგივრად გამოცდის ჩაბარება.

– სტუდენტებს არ შეუძლიათ გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის ან მასალის მოპოვება, ან სხვის მიერ მოპოვებული მასალის გამოყენება.

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება, სხვა პირის ნამუშევარი (საკურსო თემა, პროექტი, მოხსენება და სხვა) წარმოაჩინონ, როგორც საკუთარი ნამუშევარი.

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება, რომელიმე ავტორის ციტატა ან გამონათქვამი გამოიყენონ საკუთარ ნამუშევარში წყაროს მითითების გარეშე.

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება, გააყალბონ თავიანთი საუნივერსიტეტო მონაცემები (მაგალითად, მიღებული ნიშნები).

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება მოიპარონ, გაანადგურონ ან შეცვალონ სხვა სტუდენტის ნამუშევარი.

– სტუდენტებს არ აქვთ უფლება, ხელი შეუშალონ სხვა სტუდენტებს სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით.

– სტუდენტს არ აქვს უფლება, ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში.

– კვლევითი სამუშაოების დროს სტუდენტს არ აქვს უფლება გამოიგონოს ან გააყალბოს ფაქტობრივი ინფორმაცია.

– სტუდენტებს არ შეუძლიათ თავიანთ ნაშრომში გამოიყენონ კონფიდენციალური ინფორმაცია.

**5**. აკადემიური სიყალბის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს შესაბამის სტრუქტურას.

6. სტუდენტი ვალდებულია, დაემორჩილოს უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებს.

### IV. ეთიკის კოდექსის იმპლემენტაცია

ეთიკის კოდექსის სრულფასოვანი იმპლემენტაცია ჩვენი უნივერსიტეტის მდგრადობისა და წარმატების აუცილებელი პირობაა.

**1**. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვა უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული ნებისმიერი თანამშრომლის ვალდებულებაა. ეთიკური პრინციპების შელახვამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

**2**. უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი ვალდებულია, იმოქმედოს უნივერსიტეტის ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

**3**. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან, ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში აუწყონ შესაბამის სტრუქტურას უნივერსიტეტის საჩივრების სისტემით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

**4**. არაეთიკური ქმედებების დაფარვა საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის ღირებულებებსა და წარმატებულ საქმიანობას.

**5**. ეთიკის კომიტეტი ვალდებულია, შეიმუშაოს დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები და განახორციელოს დისციპლინური დევნა არაეთიკური ქმედების ჩამდენის წინააღმდეგ.

რედკოლეგია:
მალხაზ ნახინდოშვილი, ლევან რამიშვილი, ნათია ჯანაშია, ქეთი ჩაჩხიანი, ლალი ცქიტიშვილი
თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი 0108, გრიბოედოვის 23, ტელ.: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს ტვირთამჭერების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

| | | |
|---|---|---|
| ფოლადის რულონების სპეც ტვირთდამჭერი3ც. | ც | 3 |
| ტვირთდამჭერი,ქაღალდის რულონებისათვის3ც, | ც | 3 |
| პაკეტირებული ტვირთის ჩანგლისებური დამჭერი2ც. | ც | 2 |
| სატვირთო ბარაბნის დამჭერი3ც. | ც | 3 |
| ავტომტვირთავის 5ღეროიანი დამჭერი2ც. | ც | 2 |
| გემის ტვინდეკში სამუშაო ავტომტვირთავის დამჭერი1ც. | ც | 1 |
| სატვირთო ტრავერსა სხვადასხვა ტვირთამწეობით3ც. | ც | 3 |
| 1,2,4,8ტოიანი სხვადასხვატვირთამწეობის დამჭერი | ც | 120 |
| სინთეთიკური ბრტყელი სატვირთო ლენტები | ც | 200 |

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347 საიდენტიფიკაციო N 245383678, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 27 თებერვალი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N11

დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.

მიმწოდებელი ვალდებული იქნება საქონლის მიწოდება განახორციელოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 40-90(ორმოცი-ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 თებერვლიდან 2 მარტის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის კატალოგი და არსებული სერთიფიკატები.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: რამაზ ბეჟანიძე ტელ. სამსახურის 888 222 76958; მობილური: 899 65 73 90. მის: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" მარკეტინგის განყოფილება.

**სატენდერო კომისია**

# ს.ს. ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სამეურნეო თვითდაფინანსება**
**შესყიდვის ობიექტი:**
1. **ლოტი N1-**მედიკამენტები
2. **ლოტი N2-**შესახვევი მასალები
3. **ლოტი N3-**გადასასხმელი საშუალებები
4. **ლოტი N4-სადეზინფექციო და სასტერილიზაციო საშუალებები**
5. **ლოტი N5- რენტგენო-დიაგნოსტიკური მასალები**
6. **ლოტი N6-სხვადასხვა სახის რეაქტივები**
7. **ლოტი N7- ნარკოტიკული და ფსიქოტროპიული საშუალებები**
8. **ლოტი N8-მოვლის საგნები**
9. **ლოტი N9- საკერავი მასალები**
10. **ლოტი N10- სისხლის კომპონენტები**

**სხვა დამატებითი ინფორმაციების მიღება ზემოთჩამოთვლილ ლოტების შემადგენლობაზე** ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მათი მოთხოვნის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატში, დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაცის მიხედვით.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 15 მარტიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში, ადგილზე მიტანით (ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9) ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 2 მარტის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9, უროლოგიის ცენტრი, მესამე სართული ოთახი N301. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი
ანგ. N 008609800
ბანკის კოდი: 220101502

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 3 მარტიდან 7 მარტის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9, უროლოგიის ცენტრი, მესამე სართული, ოთახი N301. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 7 მარტს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**
1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**
1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**
1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. საქართველოს კანონის "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ" შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას ლიცენზია შესაბამისი საქონლის რეალიზაციაზე.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს:** ლალი ზანგულაშვილი, ტელ: 77-23-96, 77-14-31 ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9, უროლოგიის ცენტრი, მესამე სართული, ოთახი N301.

*სატენდერო კომისია*

# პროკრედიტ ბანკი, საქართველო აცხადებს შემდეგ ვაკანსიას

**იურიდიული განყოფილების უფროსი**

თანამდებობრივი მოთხოვნები:

იურიდიული განყოფილების უფროსი პასუხს აგებს:
- იურიდიული განყოფილების საქმიანობის კოორდინირება/ზედამხედველობა;
- იურიდიულ საკითხებთან მიმართებაში ბანკის აქციონერებთან მოლაპარაკებების წარმართვა, სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა სხდომების მომზადებაში მონაწილეობა;
- საერთაშორისო კრედიტორებთან იურიდიული კონტრაქტების სათანადო დონეზე მომზადება და წარმოება;
- საკრედიტო და ბანკის სხვა განყოფილებებთან თანამშრომლობა და მოლაპარაკებების წარმართვა;
- სასამართლოში გადაცემულ საქმეებზე მუშაობა;
- ბანკის სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე მუშაობა;
- საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას ბანკის სახელით შუამდგომლის ფუნქციის შესრულება;

**მოთხოვნები/კვალიფიკაცია:**
- ძლიერი ხელმძღვანელობითი უნარ-ჩვევები და მუშაობის გამოცდილება მსგავს თანამდებობაზე;
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სამოქალაქო სამართალში, საქართველოს კომერციული საქმიანობის შესახებ კანონის და საბანკო ინსტრუქციების საფუძვლიანი ცოდნა;
- იურიდიულ ფირმაში ან ბანკში მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
- Microsoft Word-ის და Excel-ის პროგრამების ცოდნა სათანადო დონეზე;
- ევროპის ქვეყნებში და/ან აშშ-ში გავლილი ტრეინინგი ან მუშაობის გამოცდილება სასურველია.

ვინაიდან ამ თანამდებობასთან მიმართებაში მოთხოვნები საკმაოდ მაღალია, პროკრედიტ ბანკი მზადაა გადაიხადოს საკმაოდ კონკურენტუნარიანი ხელფასი.

საბუთების მიღების ბოლო ვადა **2006 წლის 10 თებერვალი**.

ამ ვაკანსიით დაიტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოაგზავნონ სამოტივაციო წერილი და რეზიუმე შემდეგ მისამართზე:

პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათაო ოფისი
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. 154
ან ელ. ფოსტის მისამართზე: carrer@procreditbank.ge

გთხოვთ თქვენს რეზიუმეში ან ელ. ფოსტის **Subject** გრაფაში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გფა ტერრა სისტემსის წარმომადგენლობის კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად აჭარის ა/რ ქედას, შუახევის და ხულოს რაიონებში რეფორმის შედეგად გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაუმიჯნავი ნაკვეთების დადგენა-გამოვლენისა და აზომვის სამუშაოების შესრულების შესახებ და იწვევს ტენდერში მონაწილეობი მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული აქვთ საკადასტრო-საამზომველო სამუშაოები DPT სისტემის გამოყენებით.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვე, 6 (ექვსი) DPT-ს კომპლექტის გამოყენებით, რომელსაც უზრუნველყოფს პროექტი.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 27 თებერვლიდან 28 თებერვლის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, მე-4 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 27 თებერვლამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადსტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, მე-4 სართული.

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 28 თებერვალს, 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

გიორგი პეტრიაშვილი, ანი მინდორაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: 25 15 28
ფაქსი: 25 15 27
მისამართი: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი.

**კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის სატენდერო კომისია**

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს საბურავების და საბურავის დისკოების, აკუმულატორების, ავტომანქანის სხვადასხვა სახის ფილტრების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

1. **ლოტი N1-**საბურავები და საბურავის დისკოები
2. **ლოტი N2-**აკუმულატორები
3. **ლოტი N3-**ავტომანქანის სხვადასხვა სახის ფილტრები

**სხვა დამატებითი ინფორმაციების მიღება ზემოთჩამოთვლილ ლოტების შემადგენლობაზე** ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მათი მოთხოვნის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატში (ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.) დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ასევე თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე www.mod.gov.ge

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 20 მარტიდან 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში, ადგილზე მიტანით (ქ. თბილისი), ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 28 თებერვლის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 1 მარტიდან 6 მარტის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 6 მარტს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

***იურიდიულ პირთათვის:***

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***ფიზიკურ პირთათვის:***

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:***

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

*სატენდერო კომისია*

### 2006 წლის 2 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული განცხადება ქვეყნდება განმეორებით, შესწორებული სახით

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ს.ს.ი.პ. "საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდი "ირმის ნახტომი" აცხადებს ტენდერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ინტერნეტ-მომსახურების შესაძენად (კომუნიკაციების ინსტალაცია და მომსახურება 128 kbps შეერთებით 2006 წლის ბოლომდე).

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტი | სკოლების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | თბილისი | 128 |
| 2 | ბათუმი | 21 |
| 3 | ქობულეთი | 7 |
| 4 | ოზურგეთი | 6 |
| 5 | ფოთი | 4 |
| 6 | ზუგდიდი | 7 |
| 7 | ქუთაისი | 30 |
| 8 | თელავი | 10 |
| 9 | გორი | 12 |
| 10 | მარნეული | 1 |
| 11 | ახალციხე | 1 |
| 12 | ახალქალაქი | 1 |
| 13 | კოდორის ხეობა | 1 |
| 14 | საგარეჯო | 1 |
| | სულ | 230 სკოლა |

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

დეტალური ინფორმაცია (ინფორმაცია ლოტების მიხედვით საინსტალაციო სამუშაოების დასრულებისა და ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების დაწყების ბოლო ვადების, შეერთების ტიპებისა და სიმძლავრეების შესახებ) მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე სატენდერო მოსაკრებლის (ორასი ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, **2006 წლის 21 თებერვლის 17 საათამდე,** მისამართზე: ს.ს.ი.პ. ფონდი "ირმის ნახტომი", თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობა, ოთახი №325).

სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხულ უნდა იქნას:

- მიმღების დასახელება: ს.ს.ი.პ. ფონდი "ირმის ნახტომი", საიდენტიფიკაციო კოდი: 202 294 980
- ანგ. №333609504, "თი-ბი-სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850
- გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში ქართულ ენაზე 3 (სამ) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ასლი) 2006 წლის 27 თებერვლის 13 საათამდე ზემოთაღნიშნულ მისამართზე; დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 27 თებერვალს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 III სართულზე, ოთახი 325.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული პირისათვის

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმისწარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი(ები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შს სამინისტროდან);

- ფიზიკურ პირთათვის

ა) ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა სასამართლოდან);

გ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შს სამინისტროდან);

- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (აუდიტის დასკვნა);

გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 956294. საკონტაქტო პირი: დავით ჭიჭინაძე.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ღია ტენდერს სანავსადგურო ბუქსირის, Mმისაბმელი ბუქსირისა და სანავსადგურო ნავთობნაგავ შემგროვებელი გემის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

Lლოტი 1

1) **სანავსადგურო ბუქსირი**. 2 ცალი

ბუქსირი, რომელიც განკუთვნილია ნავსადგურსა და რეიდზე ტანკერებთან სამუშაოდ, ორი მხოფავი ხრახნითა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით აღჭურვილი.

- მაქსიმალური სიგრძე-----------------25-30 მ
- მაქსიმალური სიგანე------------------ 7,3 - 8,0 მ
- წყალშიგი ---------------------------------- 2,6-2,7 მ
- ბორტის სიმაღლე------------------------- 3,8-4,0 მ
- სიჩქარე --------11-12 კვანძი
- ძრავის სიმძლავრე ---------------2 X 1500-1800 ცხ.ძალა
- გამწევი ძალა---------------------35-45 ტ;
- მაძრავები-------------------------------2 ხრახნულსაჭური სვეტი საცმში.

Lლოტი 2

2) **სანავსადგურო ბუქსირი (მცირე ზომის) 1 ცალი**

ბუქსირი ორხრახნიანი, მოძრავი ან ფიქსირებული საცმით.

- საერთო სიმძლავრე: 450-600 ცხენის ძალა
- .მაქსიმალური სიგრძე: 14,0 მ
- .მაქსიმალური სიგანე: 3,5-4,0 მ
- ბორტის სიმაღლე: 2,8-3 მ
- წყალშიგი: 1,6 მ

ლოტი 3

**3) ნავთობ-ნაგავ შემგროვებელი 1 ცალი**

- .მაქსიმალური სიგრძე: 20,0 მ
- .მაქსიმალური სიგანე: 4,5 მ
- ბორტის სიმაღლე: 2,5 მ
- წყალშიგი: 1,6-1,8 მ
- დედვეიტი: 18-25 ტ
- ძრავის სიმძლავრე: 120-150 კილოვატი
- მახის საგდულების გადახსნის სიგანე: 7.0 მ
- სანაგვე კონტეინერის ტევადობა: 2,0-3,0 მ3
- მწარმოებლურობა 1 მმ სისქის ნავთობის საფარისას: 15-20 მ3/სთ.

ზემოთჩამოთვლილი მცურავი საშუალებები გამოშვებულ უნდა იყოს 2002 წლის შემდგომ პერიოდში

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი; მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347; საიდენტიფიკაციო N 245383678 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1 რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ და ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 27 თებერვალი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგური

დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.

საქონლის მიწოდება განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6-8 თვის განმავლობაში

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 თებერვლის დილის 9 საათიდან 1 მარტის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
- ხელმოწერისათვის გაცემული მინდობუილობა, იმ შემთხვევაში თუ ხელისმომწერი არ არის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სატენდერო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

Pპრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის სათანადო საერთაშორისო კონვენციური დოკუმენტაცია, სარეგისტრო დოკუმენტაცია, აუცილებელი თანმხლები ტექნიკური დოკუმენტაცია

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან რამაზ ბეჟანიძე ტელ. სამსახურის 888 222 76958, მობ. 899 657390. ელ-ფოსტა: marketing@batumiport.com ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" მარკეტინგის განყოფილება.

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი - დუშეთის რაიონში, სოფ. ჭართალის ტერიტორიაზე, მდ. არაგვის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ფასანაურის ქვიშა-ხრეშის საბადოს ჭართალი II უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 140 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 763 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 753 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**II ობიექტი - დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის ჭალის ტერასაზე განლაგებული ანანურის საბადოს, ანანურის უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 13 409 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 682 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**III ობიექტი - სამტრედიის რაიონში, სოფ. ნაჩხეტაურის ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე ქვიშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IV ობიექტი - ასპინძის რაიონში, ნასოფლარ ღობიეთის მიმდებარედ ბაზალტის ქვის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 9 130 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 826 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**V ობიექტი - ქ. რუსთავში, მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ჭალის ტერასებზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 113 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 023 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**VI ობიექტი - ოზურგეთის რაიონში, სოფ. მერიადან 2-3 კმ-ში სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ.ნატანების მარცხენა ნაპირის ჭალაში, ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 739 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>348 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**VII ობიექტი - ხობის რაიონში, სოფ. ხამისქურის ტერიტორიაზე ბობოსკურის კირქვის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 690 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 138 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**VIII ობიექტი - მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ძეგვის ქვიშა-ხრეშის საბადოს უკანაჭალის III უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 20 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 682 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>536 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**IX ობიექტი - კასპის რაიონში, სოფ. ხოვლეს მიმდებარე ტერიტორიაზე გაჯის ნედლეულის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი გაჯის ჯამური მოცულობა | 20 000 ტ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 252 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**X ობიექტი - ხობის რაიონში, სოფ. ბულიცკუს შემოგარენში, მდ. მუნჩიას მარჯვენა ნაპირზე კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 5 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 043 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>609 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**XI - თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ დიდი ირაგას ტერიტორიაზე ბაზალტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 21 908 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 382 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XII - მარნეულის რაიონში, მდ. დებედას მარცხენა და მარჯვენა ჭალის ტერასებზე, დებედას საბადზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 1 600 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 100 149 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>20 030 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XIII - ახალციხის რაიონში, ვალეს საბადოზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 237 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 247 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**XIV- ხარაგაულის რაიონში, სოფ. ღვერკის ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მოსაპირკეთებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 6 000 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 566 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>913 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**II - დუშეთის რაიონში, მდ. შავი არაგვის ხეობაში, მინერალური წყლის "მაქართა"-ს მოპოვება.**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მინერალური წყლის ჯამური მოცულობა | 70 400 მ$^3$ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 66 098 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>13 220 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი აღნიშნულ ობიექტზე | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 600 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| **აუქციონის ჩატარების ადგილი** | **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 6 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 9 მარტს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.** |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. ვ) საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი.<br>ზ)საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ" და "წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# ვიდეოარტის მამა

## მოღიმარი ადამიანი ტოკიოდან

სოფო კილასონია

მან პირველმა მოიფიქრა ტელე და ვიდეოყუთებისთვის ხელოვნების ობიექტების დანიშნულება მიენიჭებინა. მან პირველად ჩართო ვიდეოჩანაწერები ექსპოზიციაში და კედელზე უჩვეულო მინათებებით ახალი რამ, ვიდეოარტის უსაზღვრო ფანტაზიები გაალღვიძა. ნამ ჯუნ პაიკი, რომელიც 74 წლის გახლდათ, რამდენიმე დღის წინ მაიამიში გარდაიცვლილა.

პაიკი 1932 წელს სეულში დაიბადა და ეგონა, რომ მთელ ცხოვრებას მუსიკას მიუძღვნიდა. ჯერ სამშობლოში, შემდეგ კი ტოკიოს უნივერსიტეტში ბგერების ხელოვნებას ეუფლებოდა. ყველაზე მეტად შონბერგის მუსიკა იტაცებდა. 1958 წელს პაიკი უკვე ევროპაშია და ჯონ კეიჯისთან და პოსტსიურეალიზმის სათავეებთან მდგომ ჯორჯ მაჩიულასთან მეგობრობს. მაშინ სამივე მათგანი ერთმა მიზანმა გააერთიანა. სურდათ მოწყობილ პერფორმანსებში დაენახათ, როგორი იყო თანამედროვე ხელოვნებაში თანამედროვე მათემატიკისა და ფილოსოფიის გავლენა. ერთ მშვენიერ დღეს ნამ ჯუნ პაიკმა გადაწყვიტა, რომ ამ ყველაფრის გაერთიანება მხოლოდ ტელე-ვიდეო გამოსახულებებში შეიძლებოდა.

1963 წელს პაიკმა პირველი გამოფენა გამართა. პავილიონში ათეულობით ტელევიზორი იყო წარმოდგენილი. მათი ნაწილი თავდაყარა იდგა. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი ერთნაირ გამოსახულებას უჩვენებდა, ერთნაირს, მაგრამ განსხვავებულად, სხვადასხვაგვარი დახრილობითა და სხვადასხვაგვარი დამახინჯებით. ამ გამოფენის შემდგომ პაიკი ჩადის ნიუ იორკში, სადაც სატელევიზიო კამერით იწყებს მუშაობას. მის პროექტებში ძველი გატაცება, მუსიკა ბრუნდება. ვიდეოებში მუსიკოსები ჯონ კეიჯი და ლორი ანდერსონი მონაწილეობენ. ძალიან ხშირად ამ პერიოდში მუსიკასთან ერთად ქორეოგრაფიასაც მიმართავდა და ამ თვალსაზრისით მისი ერთგული მეგობარი ქორეოგრაფი მერსი კანინგემი გახდა.

1970-1980 წლებში ნამ ჯუნ პაიკი თავის საუკეთესო ვიდეოინსტალაციებს ქმნის. მათ შორისაა "ვიოლონჩელისტი ქალი", "TV-Garden", "TV-Clock". 2000 წელს ჰუგენხეიმის მუზეუმში მისი ყველაზე გრანდიოზული გამოფენა გაიმართა. გამოფენას ასე დაარქვეს: "ნამ ჯუნ პაიკის სამყაროები".



რას აღარ წერენ და რას აღარ ამბობენ დღემდე პაიკის ნამუშევრებთან დაკავშირებით და პირადად მისი პიროვნების შესახებ. მაგალითად, იმას, რომ მან შეცვალა ევროპული საზოგადოების დამოკიდებულება ტელევიზიისადმი, ანდა იმას, რომ მან ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კლიპების, კონკრეტულად კი მუსიკალური კლიპების ინდუსტრიის განვითარებაში, მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ნამ ჯუნ პაიკმა ვიზუალური ხელოვნების ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი აამუშავა და ახალი თანამედროვე ხელოვნების მრავალი ასპექტი საკუთარ ვიდეოკადრებად გახსნა. სულ სხვა საქმეა, ვინ რამდენად ღირებულად აღიქვამს ვიდეოარტს და, შესაბამისად, პაიკის წამოწყებას, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ხანია, რაც თანამედროვე არტი ვიდეოარტის გარეშე ველარ აღიქმება. მიმდინარეობა, რომელმაც ხელოვნების ზოგადი ნიშნები მთლიანად აითვისა და, შესაძლოა, შთანთქა კიდეც, ახლა სხვადასხვა ფასეულობებით აგრძელებს თამაშს, მაგრამ რას ითამაშებდა და როგორ გააგრძელებდა, რომ არ დაწყებულიყო, რომ არ მოეგონა იგი (სხვა რამდენიმესთან ერთად) ერთ მოღიმარ ადამიანს იაპონიიდან...

# პლანტის ახალი სინგლი

ამერიკული როკ-ჯგუფი "პერლ ჯემი" ახალ სტუდიურ ალბომზე მუშაობას ამთავრებს და უკვე სიმღერების ნუსხასაც აქვეყნებს. წლევანდელი სინგლი იქნება ელვის პრესლის მიერ პოპულარიზებული სიმღერის Little Sister-ის რობერტ პლანტისეული ცოცხალი შესრულება, რომელიც შარშან, ოქტომბერში, ჩიკაგოში ჩაიწერეს. მეორე სინგლი იქნება ახალი სიმღერის Gone-ის სადემონსტრაციო ჩანაწერი, რომლის დებიუტიც ოქტომბერშივე, ატლანტიკ სიტიში გამართულ შოუზე გაიმართა.



მოგვიანებით ჯგუფი ტურნეს მოწყობასაც გეგმავს. მანამდე კი გიტარისტი მაიკ მაქკრიდი სიეტლის საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო შოუს გამართავს. მაქკრიდი დაუკრავს თავის ჯგუფ Flight To Mars-თან ერთად და ეს 18 მარტს მოხდება. შემდეგ "პერლ ჯემს" უკვე ამერიკულ ქალაქებში მოუსმენენ.

შვილები: დათო, გუგა გოზალიშვილები, და ლამარა დავლიანიძე, რძლები სვეტა, დოდოშკა, შვილიშვილები ანი, მიმი, მარი, ვოვიკო, თიკა გოზალიშვილები, იუწყებიან

**მაყვალა (ფაცა) აპოლონის ასულის დავლიანიძის**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი: 5-6 თებერვალს 17.00 საათზე**
**გამოსვენება: 7 თებერვალს 14.00 საათზე**
**მისამართი: მიცკევიჩის ქ. 18, მე-3 სადარბაზო.**

# შეზარხოშებული შექსპირი

მელორ სტურუა
*სპეც. კორ. აშშ-ში*

ნიუ იორკში ყოფნისას ყოველთვის ვურეკავ ცნობილ თეატრალურ კრიტიკოს კლაივ ბარნს. ამჟამად ის "ნიუ იორკ პოსტში" წერს. ერთმანეთი ორმოცი წლის წინ ლონდონში გავიცანით. ბარნმა ყველაფერი იცის თეატრალური სიახლეების შესახებ, იძლევა სასარგებლო რჩევებს და შოულობს ბილეთებს...

ამ დღეებში ნიუ იორკში ჩავედი და, რა თქმა უნდა, კლაივს შევეხმიანე. მირჩია, "ლეჯიტიმეტ ტეატერის" დადგმით შექსპირის "მეთორმეტე ღამე" მენახა, თან ჩაიცინა: სპექტაკლის წინ კარგად ისადილე და შეეცადე დარბაზში "ჯგუფ-3"-ში არ მოხვდეო.

კლაივის რჩევამ დამაინტრიგა, მაგრამ ჩემს თხოვნაზე, გაეშიფრა, რას გულისხმობდა, მიპასუხა: "ნახავ და თავად გაიგებ".

ბილეთი სასაცილოდ იაფი იყო - სულ რაღაც ხუთი დოლარი. მასთან ერთად პროგრამა და აფიშაც მერგო. აფიშაზე ეწერა "დალევის წესები". აქვე მიეთითებინათ, რომ მაყურებელი დარბაზში სამ ჯგუფად უნდა დაიყოს: "ცისფერებად", "წითლებად" და "მესამეებად". "ცისფერების" ჯგუფმა მაშინ უნდა მიირთვას ალკოჰოლი, როცა სცენაზე უიმედო სიყვარულისგან დატანჯული ჰერცოგი ორსინო გამოჩნდება ან პერსონაჟებს რომანტიკულ პრელუდიებზე უარს ეტყვიან, "წითლებმა" მალვოლიოს დანახვაზე უნდა გადაჰკრან, ან მაშინ, როცა რომელიმე პერსონაჟს "სექსუალური საფრთხე" დაემუქრება. "ჯგუფი-3" კი ვალდებულია, იმ დროს მიეძალოს სასმელს, როგორც კი სერ ენდრიუ ეკუჩიკს მოჰკრავს თვალს ან საუბრის თემა ოლივიას სილამაზეს შეეხება. და ყველაზე მთავარი, მესამე ჯგუფი მაშინაც სვამს, როცა "ცისფერები" და "წითლები" მიირთმევენ (ახლა კი მივხვდი, რატომ გამაფრთხილა ჩემმა ძველმა კოლეგამ).

რადგან "მეთორმეტე ღამე" კარგა ხნის წინ მქონდა წაკითხული და ნანახი, ვერაფრით გავიხსენებდი, რამდენჯერ შეიძლება გამოჩენილიყო სცენაზე ორსინო და მალვოლიო, რამდენჯერ უარყოფენ თაყვანისმცემლებს და, მით უმეტეს, ვის და რამდენჯერ დაემუქრება "სექსუალური საფრთხე"... მოკლედ, არ გავრისკე და "ცისფერებში" ჩავეწერე. სამწუხაროდ, დაგემოვნებული სასმელის ღირებულება ბილეთის ფასში არ შედიოდა - მაყურებელი მას ბარში, წარმოდგენის დაწყებამდე იმარაგებდა.

შექსპირის დამდგმელებს თავიდანვე ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა მოხდება დარბაზში ვისკისა და არყის აქტიური დაგემოვნების შემდეგ. ამიტომ მათ სცენის კუთხეში სუფლიორი დასვეს. ის მაყურებელს ორი - ცისფერი და წითელი დროშით ანიშნებდა, როდის უნდა დაელია, "ჯგუფი-3"-ის შემთხვევაში კი ორივე ხელს მაღლა სწევდა... (სპექტაკლის შემდეგ ვიოლას როლის შემსრულებელმა და ასევე გენერალურმა მენეჯერმა მეგან კინჯერალმა განაცხადა: "მართალია, მესამე ჯგუფი წნეხის ქვეშაა მოქცეული, მაგრამ, დამეთანხმებით, ეს შესანიშნავი წნეხია!"



სებასტიანის როლის შემსრულებელი და "ლეჯიტიმედ ტეატერის" დამაარსებლის რიჩარდ ლავჯოის თქმით, "შექსპირიდან რაიმეს დადგმა ადრეც გვინდოდა. ისეთი პიესა უნდა გვეპოვა, რომელიც ჩვენს შემოქმედებით ვიბრაციას ფეხს აუწყობდა. ბოლოს აღმოვაჩინეთ კონცეფცია "თამაში-სასმელი", რომელმაც "მეთორმეტე ღამემდე" მიგვიყვანა. მეთორმეტე ღამის ფესტივალი ისედაც დალევის ტრადიციას უკავშირდება. ამ თამაშში არ არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული, მაყურებელს ის შექსპირის გაცნობაში, პიესის პერსონაჟების ურთიერთობების გარკვევაში ეხმარება". ჩვენს შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა არაფხიზელმა აუდიტორიამ კონტროლი დაკარგოს, გვიპასუხეს: ყველაფერი კარგად გავთვალეთ, მაყურებელს გონება სწორედ მაშინ ებინდება, როცა სპექტაკლი მთავრდებაო...

ჩემს პირად გამოცდილებას თუ გაიზიარებთ, დაგემოწმებით, რომ მართლაც ასეა. თანაც ყველა კმაყოფილი რჩება. როგორც მაიაკოვსკი იტყოდა, სასმელის პრიზმაში ყველა ქალი ლამაზიაო. დავუმატებდი: და არა მხოლოდ ოლივია "მეთორმეტე ღამიდან"...

სხვათა შორის, შექსპირის დროს მის თეატრ "გლობუსში" მაყურებელს ეპატიჟებოდნენ არა სასმელზე, არამედ თაფლზე, ფორთხალთან და თხილთან ერთად.

# განცხადება

**დაიკარგა 2002 წლის 30 სექტემბრის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი**

**განაცხადის რეგისტრაციის N 29225/2002 თარიღი: 25/09/02**

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო გადასცემს უსასყიდლო უზურფრუქტით სარგებლობის უფლებით არასაცხოვრებელ ფართს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**

ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიის მიერ გაზეთ “24 საათის” 30 დეკემბრის ნომერში გამოცხადდა კონკურსი ქ. თბილისში რიყის ტერიტორიის (43350 კვ.მ მიწის ნაკვეთი) განკარგვაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით სადაც გაიპარა უზუსტობა. ზედმეტია შემდეგი ტექსტი:

“განცხადება დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის III პუნქტით გავალისწინებულ მოთხოვნებს”.

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში”**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# ამერიკელი ქალების იდუმალების აღმომჩენი

"ქალური იდუმალება" - წიგნი, რომელიც უფრო თავისი ორიგინალი სათაურით არის ცნობილი - Feminine Mystique - კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში. ფემინისტი ქალებისთვის უმნიშვნელოვანესი ტექსტის ავტორი ბეტი ფრიდანი 85 წლის ასაკში საკუთარ დაბადების დღეს, 4 თებერვალს, ვაშინგტონში გარდაიცვალა. როგორც ოჯახის წარმომადგენელმა განუცხადა პრესას, ბეტი ფრიდანს გულმა უმტყუნა.

მწერალმა ქალთა მოძრაობა 1963 წელს წამოიწყო და უმნიშვნელოვანეს ისტორიულ შედეგებს მიაღწია როგორც შტატებში, ისე სხვა ქვეყნებშიც. მას სწორედ თავისმა პირველმა წიგნმა "ქალურმა იდუმალებამ" გაუთქვა სახელი. ტექსტი, რომელიც გამომცემლობა "ნორტონმა და კომპანიამ" გამოსცა, 2000 წლამდე 3 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა და ათობით ენაზე ითარგმნა.

წიგნის დაწერის იდეა ფრიდანს სმიტის კოლეჯში ჩატარებული ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის შემდეგ გაუჩნდა. გამოკითხვას უნდა დაენგრია ომის შემდეგ გაჩენილი მითი იმის შესახებ, რომ უმაღლესი განათლება ქალს ხელს უშლიდა ყოფილიყო კარგი დედა და კარგი მეუღლე. ფრიდანს იმედი ჰქონდა, რომ თანაკურსელი გოგონებისგანაც ისეთივე პროგრესულ პასუხებს მოისმენდა, როგორიც თვითონ ჰქონდა. თუმცა, რაც პასუხებში ამოიკითხა, გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე პროგრესული აზროვნება. ბეტი ფრიდანმა დაინახა, რომ მის თანამედროვე ქალებს "სახელდაურქმეველი უკმაყოფილება აწუხებდათ და ეს უკმაყოფილება იმდენად მძაფრი იყო, რომ ფიზიკურ ტკივილს უდრიდა". შემდეგ უკვე ამ ფენომენს ფრიდანმა ასეც უწოდა - "პრობლემა, რომელსაც სახელი არა აქვს".

სმიტის კოლეჯის შემდეგ ფრიდანმა კითხვარი რედკლიფისა და სხვა კოლეჯების სტუდენტებს გაუგზავნა, მოგვიანებით კი უამრავი ქალი პირადად თვითონ გამოკითხა. შედეგი და განწყობა ყველგან ერთნაირი იყო. ამ "უსახელო ქალურმა დარდმა" ფრიდანს წიგნის დაწერა შთააგონა.

1966 წელს მისი მხარდაჭერით დაფუძნდა ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია. ბეტი ფრიდანი მისი პირველი პრეზიდენტი იყო. დღეს რომ ქალები მოღვაწეობენ პოლიტიკაში, მედიცინაში, სამხედრო ცხოვრებაში და ეკლესიებში, სწორედ ბეტი ფრიდანის მოძრაობის პირდაპირი შედეგი გახლავთ.

"ქალური იდუმალების" შესავალში ის წერდა: "თანდათან, წლების განმავლობაში, აღმოვაჩინე, რომ ამერიკელი ქალები რაღაც არასწორი წესით ცხოვრობენ. ეს საეჭვო კითხვის ნიშანი პირველ რიგში ჩემს საკუთარ ცხოვრებას ეხებოდა. მე მყავდა სამი მცრეწლოვანი შვილი. თითქმის დანაშაულის გრძნობით და, შესაბამისად, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ვმუშაობდი. ვფიქრობდი, რომ სამსახურში გატარებულ საათებს ჩემს ოჯახს ვაკლებ".



სიტყვებს ხომ ჯადოსნური ძალა აქვთ და მომდევნო 400 გვერდზე ფრიდანმა ისე განავრცო ეს ქალური ფიქრები, რომ ყველა ამერიკელი ქალის ფიქრად აქცია და ყალბი მითი, რომელსაც მანამდე ასე ერქვა - "პროვინციელი წინსაფრიანი ამერიკელი ქალი კმაყოფილია თავისი საშინაო ცხოვრებით" - დაანგრია. ამ დანგრეულ მითს მან "ქალური იდუმალება" უწოდა.

ბეტი ფრიდანი (ბეტი ნაომი გოლდშტაინი) 1921 წლის 4 თებერვალს ილინოისის შტატის პატარა ქალაქ პეორიაში დაიბადა. ბერკლის უნივერსიტეტში სწავლის დროს ძალიან პრესტიჟული სასწავლო სტიპენდია მოიპოვა, მაგრამ სტიპენდიაზე უარი თქვა შეყვარებული ბიჭის გამო, რომელმაც აიძულა ბეტი უარი ეთქა დოქტურანტურაში სწავლაზე. ამ შემთხვევას მწერალი შემდეგ ხშირად იხსენებდა, როგორც საუკეთესო მაგალითს თავისი ფემინისტური კვლევისთვის. თუმცა, ბეტიმ მალე მიატოვა შეყვარებული ბერკლიდან, ჯერ შინ, პეორიაში დაბრუნდა, შემდეგ კი ნიუ იორკში, გრინვიჩ ვილიჯში გადასახლდა. სწორედ იქ დაიწყო წერა. ჯერ პატარა საინფორმაციო სააგენტოში მუშაობდა რედაქტორად, შემდეგ U.E. News-ისთვის რეპორტიორობდა.

1947 წელს ბეტი გოლდშტაინი გათხოვდა კარლ ფრიდანზე - თეატრის დირექტორზე, ვისთან ერთადაც ნიუ იორკის შტატის პატარა ქალაქში გადასახლდა. ბეტი ფრიდანს დარჩა სამი შვილი და ცხრა შვილიშვილი.